# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 19 აპრილი 2002 №69 (1591) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხმა შორეთიდან

### ევროპა დარბის, საქართველო დადის

ევროპის ამხანაგურ ოთხშაბათს კაცი ბევრ თვალსასეიროსა და დასაფიქრებელს ნახავდა. ვარსკვლავებს რომ არ გამოვეკიდოთ, დანიელი ტომას გრავესენიც კი საუცხოო პასებს აწვდიდა და მერყევი განწყობის რუსთა გუნდმაც კი ლამის ბოროდინო გამართა „სტად დე ფრანსზე". უხეირო გერმანიამაც კი რაღაც იბრძოლა საუცხოო არგენტინასთან, ალბანელთა მწვრთნელი სულეიმან დემოლარი გასახდელშივე მოხსნეს ანდორასთან წაგებული მატჩის შემდეგ. ეძახე შენ ამხანაგური თამაშები და ევროპის სტადიონებზე ძვლების ჭახაჭუხი ისმოდა. ამ ხმებმა, გაღმა ქალაქების სტადიონებიდან რომ სწვდებოდა ჩვენს ყურს, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენსა და ევროპას შორის უფსკრულია და ამ უფსკრულის ამოვსებას ვინ ჩივის, ზედ ბეწვის ხიდის გადებაც არ ხერხდება. ლადო ბურდულის ერთი უცნაური, მოულოდნელი და მაინც ზუსტი დარტყმა რომ არა, საერთოდ ვერაფერს დავიმახსოვრებდით უკრაინა – საქართველოს ამხანაგური თამაშიდან. თუმცა, ამ დარტყმას არაფერი შეუცვლია. შეგვიძლია ვიძახოთ, რომ ნაკრებს ხალხი აკლდა, შეგვიძლია ვიძახოთ, რომ ამხანაგურ თამაშში ასეა საჭირო და ახალბედებსა ვცდით, შეგვიძლია ვიძახოთ, რომ ჭკუას ვერავინ გვასწავლის, რადგან ჩვენ თვითონ ვართ ჭკვიანები.

## მოკლედ

## შეგვიძლია ყველაფერი ფეხბურთის თანამედროვედ თამაშის გარდა

### მკრთალი, შემტევლო სახე და იღბლის მოლოდინი — აი, საქართველოს ნაკრები ამ კვირაში



რუსმა იური ნიკიფოროვმა (№3) და მისმა თანაგუნდელებმა გუშინწინ ფრანგებს წიხლი არ „დაამადლეს"

## რა თვალით ვუყურებთ ქართველები რუსებს?

დიდად დაინტერესებული და ყურადღებიანი თვალით, ვინაიდან რუსეთის საფეხბურთო ნაკრები ჩვენი გუნდის მეტოქეა ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევში.

ოთხშაბათს რუსებმა „სტად დე ფრანსზე" მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ფრანგებთან ითამაშეს. შეხვედრა, მართალია, ამხანაგური გახლდათ, მაგრამ ჩვენმა ყურადღებიანმა და დაკვირვებულმა თვალმა ისე აღიქვა, რომ ის, რაც მომავალმა მეტოქემ აჩვენა, სხვა არაფერი იყო, თუ არა საბრძოლო მოქმედება. სხვა ამბავია, რომ ოქტომბერში თბილისში ჩამოსული რუსები შესაძლოა სულაც არ ჰგავდნენ გუშინწინდელ რუსებს, მაგრამ ყურადღებიანი და დაკვირვებული თვალისთვის ნათელია, რანი არიან ისინი და რა უნდათ ცხოვრებაში.

„სტად დე ფრანსზე" კი ისე გამოჩნდა, რომ რუსეთის ნაკრებს ცხოვრებაში ფეხბურთის შემოქმედებითად მოთამაშე მოწინააღმდეგისთვის ხელის შეშლა აქვს მიზნად დასახული და ამას უზარმაზარი ენერგიის ხარჯვით, ძალიან გააზრებულად და ორგანიზებულად აკეთებს.

კეთილი, მაგრამ ჩვენ ამით რა? — იკითხავს ქართველი ქომაგი, რომელიც, ეჭვობს, რომ ჩივაძისეული საქართველოს ნაკრები საფრანგეთის ნაკრებისგან, როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდება.

არაფერი — ვუპასუხებთ ჩვენ — მალე მოვა ოქტომბერი და ვეთამაშებით... იმედია, გაცილებით დასუსტებულ რუსეთს.

# ამხანაგური მატჩები

## რუსეთი

**საფრანგეთი 0:0 რუსეთი**

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ტურამი, ლებეფი (კრისტენვალი 46), დესაი, ლიზარაზუ (კანდელა 78), ვიეირა, ე. პეტი (ბოგოსიანი 62), ჯორკაეფი (მარლე 62), ზიდანი, ანრი, ანელკა (მიკუ 82)
**მწვრთნელი:** როჟე ლემერი
**რუსეთი:** ნიგმატულინი, დაევი, ნიკიფოროვი, სენიკოვი, სმერტინი, იზმაილოვი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი (სიჩევი 66)
**მწვრთნელი:** ოლეგ რომანცევი
**გაფრთხილება:** კარპინი, კანდელა, ნიკიფოროვი
**მსაჯი:** მაიკ რილი (ინგლისი)
**80 000 მაყურებელი**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

# ზემლია. ზემლია

## რუსის ამხანაგობა ვის გაუგია


REUTERS სენ დელიდან
ალექსეი სმერტინმა (№5) პატრიკ ვიეირას ლამის ფეხი წააცალა

**რუსებს** „სტად დე ფრანსზე" ბოროდინო, სტალინგრადი, ლენინგრადი და ვინ იცის კიდევ რამდენი „გრადი", „კატიუშა" და „ზემლია-ზემლია" გაახსენდათ. მათ აშკარად არ უთხრეს, რომ პარიზს ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად იყვნენ ჩასულნი, თორემ ეცოდინებოდათ, რომ ამხანაგური შეხვედრა თავგანწირვისთვის კი არა, ტაქტიკის, კომბინაციების და რაღაც-რაღაცეების დასამუშავებლად არსებობს. ნუთუ მათი მიზანი თვითრწმენის ამაღლება იყო? აქაოდა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს მისსავე მოედანზე ფრედ თუ ვეთამაშეთ, სხვებზე ხომ მთლად დიდი გულით გავიწევთო. მაგრამ ესეც გაგვაკვირვებია — ნუთუ ისინი ფიქრობენ, რომ აი, ასეთი თავგანწირვითა და კილოკალორიების ხარჯვით კიდევ ბევრი თამაშის ჩატარებას შეძლებენ?

თეორიულად, ამა თუ იმ გუნდმა ოფიციალურ შეხვედრაში (მით უმეტეს მსოფლიოს ჩემპიონატზე), გაცილებით ძლიერად უნდა ითამაშოს, ვიდრე ამხანაგურში, მაგრამ ფიზიკურად იმაზე ლონივრად თამაში, რაც რუსებმა „სტად დე ფრანსზე" აჩვენეს, თითქმის გამორიცხულია და, ვინაიდან გვეეჭვება კორეა-იაპონიაში აქამდე გადამალული დრიბლინგი, პასები ან სხვა რამ კომპონენტი ამოაძრონ სკივრიდან, ვფიქრობთ, რომ ოთხშაბათს მათი მაქსიმუმი ვიხილეთ, რომელსაც მუნდიალზე გაიმეორებენ თუ ვერა, ჯერ კიდევ საკითხავია.

მაგრამ, აქვე სამართლიანობა მოითხოვს დავძინოთ, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ასეთ კი არა, რუსთა ამასთან ოდნავ მიახლოებული თამაშის წინააღმდეგ საქართველოს ნაკრებს მინიმალური შანსიც არ აქვს.

ფრანგთა და რუსთა თამაშზე ისიც დავძინოთ, რომ პირველ ტაიმში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა, კერძოდ კი ნიკოლა ანელკამ, სტუმრების კარში, ნამდვილი, ლამაზი გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ან წესი არ იცოდა და ოფსაიდი იმიტომ აღნიშნა ან რაღაც ამგვარი — ემანუელ პეტის დარტყმული ბურთი რუსთა ხარიხას მოხვდა, იქიდან ჩამოვარდნილს კი წინ გასულმა (ეს ოფსაიდი აღარ არის) ანელკამ მიუჩინა კარში ადგილი.

თამაშის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა როჟე ლემერმა განაცხადა: „ჩვენც და რუსებიც ცოტა აღელვებულნი ვთამაშობდით. პირველ ტაიმში ძალები თანაბარი მეჩვენა. ორივე მეკარე აშკარად კარგ ფორმაში იყო. ჩვენ, უბრალოდ, გოლის გასატანად ნაპერწკალი გვაკლდა. მართალია, რამდენიმე მომენტი შევქმენით, მაგრამ სტუმრების კარგად ორგანიზებულმა დაცვამ თავისი გააკეთა. იმედი მაქვს, ამ მეტოქეს მსოფლიოს ჩემპიონატზე აღარ შევხვდებით".

რუს ფეხბურთელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი იტალიური „ვერონას" კარის მცველი რუსლან ნიგმატულინი გახლავთ. თანაგუნდელები მნიშვნელოვანწილად სწორედ მას უნდა უმადლოდნენ შეხვედრა ფრედ რომ დასრულდა. ნიგმატულინმა რამდენიმე ეპიზოდში საუცხოოდ ითამაშა და ამ ეპიზოდთა შორის ბოლო წუთს ტიერი ანრის დარტყმულის მოგერიებაცაა.

ფრანგთა მინუსად კი ის უნდა ჩაითვალოს, რომ მეტოქის თავგანწირვამ მათზე ცუდად იმოქმედა. რას ჰქვია გოლი ვერ გაგვაქვსო, თანდათანობით ნერვები ეშლებოდათ და გარედან ისე ჩანდა, მათ შორის წყნარად ერთადერთი ეროვნულ გუნდში ექვსთვიანი არყოფნის შემდეგ დაბრუნებული ნიკოლა ანელკა უნდა ყოფილიყო.

**ბაჩუნა ბედია**


REUTERS დუბლინიდან
ამერიკელმა ტომი სანემ (№22) და ირლანდიელმა კევინ კილბეინმა წყალბურთიც ითამაშეს

# ირლანდია მარტო კინო არ არის

## სამყურებს ზურგიც მაგარი ჰქონიათ

## ირლანდია

**ირლანდია 2:1 აშშ**

**1:0** კინსელა (6), **1:1** პოპი (34), **2:1** დოჰერტი (83)
**ირლანდია:** გივენი, ფინანი (ჯ. კელი 46), ჰარტი (სტონტონი 46), ე. ობრაიენი (კანინგემი 46), ბრინი (დოჰერტი 70), კ. ჰელი, დელაპი, კინსელა (ჰოლანდი 46), დაფი (კონოლი 46), რობი კინი (კ. მორისონი 84), კილბეინი (რიდი 46)
**მწვრთნელი:** მიკ მაკარტი
**აშშ:** ფრიდელი (კელერი 46), ბერჰალტერი (ვანეი 46), ჯ. ობრაიენი (ე. ლუისი 46), ე. სტიუარტი (დონოვანი 46), კ. რეინა (მეიდუკი 70), მეტისი (ვოლფი 64), აგოსი, არმასი, მაკბრაიდი (ჯ. მური 46), სანე, პოპი
**მწვრთნელი:** ბრიუს არენა
**მსაჯი:** ფილიპ ლეუბა (შვეიცარია)
**39 000 მაყურებელი**

**მიკ მაკარტი** აშშ-ის ნაკრებს შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდა. ამის მიუხედავად, ირლანდიელებმა წლეულს ზედიზედ მესამე ამხანაგური მატჩის მოგება შეძლეს. გუნდის კაპიტან როი კინისა (მოფერებით „კინოს" რომ ეძახიან) და „სანდერლენდის" ახალ ფორვარდ ნაილ ქუინის ნაცვლად მოთამაშე მარკ კინსელამ და გარი დოჰერტიმ ბრწყინვალედ გაართვეს თავი დაკისრებულ სამუშაოს. ირლანდიელებმაც სწორედ მათი გოლებით იმარჯვეს.

შეხვედრა ორივე გუნდისთვის ერთობ მძიმე გამოდგა. ძლიერი წვიმა ფეხბურთელების სწრაფ გადაადგილებას კი აფერხებდა, მაგრამ მეტოქეებს თავი არ დაუზოგავთ და ბოლომდე მონდომებით იბრძოლეს.

— აშშ-ს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს. მისი დალაგებული თამაშით მოხიბლული ვარ. დარწმუნებული არ ვიყავი გამარჯვებაში, თუმცა, ვფიქრობ, მოულოდნელიც არაფერი მომხდარა — განაცხადა ნამატჩევს ირლანდიელთა თავკაცმა მიკ მაკარტიმ.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, რაც მალევე გატანილ გოლში აისახა. სტივ ფინანის საჯარიმოში ჩაწოდებულს მარკ კინსელა გამოეხმაურა, მცველთან ჭიდილში იმარჯვა და სახიფათო მომენტიც შედეგიანი დარტყმით დააგვირგვინა. ამერიკელებმა მალე შეძლეს გონს მოსვლა და ირლანდიელთა კარის დარაჯი შეი გივენი საკმაოდ დაასაქმეს. ნიუკასლელმა თავი არ შეირცხვინა. მას არც სტუმართა მეკარე ჩამორჩა, რომელმაც დამიენ დაფის სახიფათოდ გასროლილი გააუვნებლა. ამ მომენტიდან ორიოდ წუთში კი ტაბლოზე საყაიმო ანგარიში დაფიქსირდა — ჯონ ობრაიენის კუთხურიდან ჩაწოდებულს შორეულ ძელთან ედი პოპი დახვდა და გოლის გატანა არ გასჭირვებია — 1:1.

მეორე ტაიმში მწვრთნელებმა ბლომად შეცვლები განახორციელეს და მატჩიც შედარებით მოსაწყენი გახდა. ირლანდიელებმა მაინც იძალეს და შეცვლაზე შესულმა გარი დოჰერტიმ საბოლოოდ გატეხა ამერიკელები — 2:1.

— საშინელი ამინდი იყო. შედეგზე მეტად იმაზე ვფიქრობდი, ბიჭებმა ტრავმა არ მიიღონ და როგორმე შეხვედრა მშვიდობიანად ჩავამთავროთ-მეთქი. ჩემი გუნდის გარჯით მაინც კმაყოფილი ვარ. საწყენია ბოლოს გოლი რომ გავუშვით, მაგრამ არა უშავს, ფეხბურთში ყველაფერი ხდება — თქვა მატჩის შემდეგ ამერიკელთა მწვრთნელმა ბრიუს არენამ.

— მართლაც რთულ პირობებში ვითამაშეთ. წვიმამ მინდორიც გვარიანად დატბორა, რაც ფეხბურთელებს ხელს უშლიდა. ჩემი გუნდის თავდადებული თამაშით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით კოლინ ჰელის და რორი დელაპს გამოვყოფ — აღნიშნა მიკ მაკარტიმ.

დასასრულს ისიც აღვნიშნოთ, რომ ირლანდიის ნაკრებს ბოლო ათი საშინაო შეხვედრა, არ წაუგია.

**ბახა შალამბერიძე**

# თავმოჭრილს თავი მოაჭრეს

## ალბანეთი

**ანდორა 2:0 ალბანეთი**

**1:0** გონსალესი (34პ), **2:0** ხიმენესი (64)
**ანდორა:** კ. ალვარესი, ფ. რამირესი, ჩემა (ესკურა 89), ხ. ფერნანდესი, ტ. ლიმა, ი. ლიმა, ემილიანო გონსალესი (ფ. სილვა 63), ხული სანჩესი (სორია 87), მ. ხიმენესი (ხონასი 55), სონეიე, რუისი (პოლი 85)
**ალბანეთი:** ბექაი, ლალა, ნ. დედე, ჯუმბა, ფაკაი, ბ. ჰასი (ბექირი 84), მურატი, ჯუპი (ბულკუ 54), დური (მურტაი 58), რაკლი (ფორტუზი 58), ტარე (დობი 58)
**მწვრთნელი:** სულეიმან დემოლარი
**გაძევება:** ჯუმბა (33)
**მსაჯი:** არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
**250 მაყურებელი**


სულეიმან დემოლარი

**„რა მინდოდა** წვენებში? ვგდებულიყავი ჩემთვის სახლში" — გახსოვთ, ალბათ, ქართულ ტელეფილმ „თეთრი ბაირაღების" ერთ-ერთი პერსონაჟის, „შოშიას" ცნობილი მონოლოგი. ალბათ, ასევე ფიქრობდა გუშინ, ნამატჩევს, ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი არმანდო დუკა. ალბანეთის ნაკრების სიძლიერე აქამდეც არავის (თავად პრეზიდენტსაც) გაეგო, თუმც ანდორასთან 0:2 წაგებულმა მატჩმა (თუნდაც სტუმრად) ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

„ალბანეთი შოკშია", „თქვენ მთელი ერი შეარცხვინეთ" — ამდაგვარი სათაურებით გამოვიდა დღევანდელი პრესა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოში, რომლის დედაქალაქის მეოთხედიც კი დაიტევს ანდორის მთელ მოსახლეობას...

ჰოდა, თავად წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა ყოველივე ამის შემხედვარე ალბანური ფეხბურთის მამა. მატჩის დამთავრებას წამებიღა აკლდა, არმანდო დუკა სავარძლიდან რომ წამოხტა და საპატიო სტუმართა ლოჟიდან „აითესა". ნერვიულობისგან გულაჩქარებულმა და საყელომოღეღილმა დუკამ კიბეები სწრაფად ჩაირბინა და თავისი გუნდის გასახდელისკენ გაეშურა. აქაოდა, იქნებ მომაკვდავს (გუნდს) სულზე მივუსწროო. გადარჩა თუ არა „ავადმყოფი" ჯერაც საკითხავია, თუმც ფაფარაშლილმა პრეზიდენტმა ნაკრების მკურნალს თავის დამხმარეებიანად კარისკენ მიუთითა. „თქვენს ნაცვლად მე მრხვენია. ასეთი საზიზღრობა ცხოვრებაში არ მინახავს. თან ვინ გაგვათახსირა?" — იკითხა არმანდო დუკამ და საკუთარ შეკითხვას თავადვე გასცა პასუხი: „უპირველესად ჯუჯა ანდორამ და, რა თქმა უნდა, სულეიმან დემოლარმა..." დემოლარი კი, მოგეხსენებათ, ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. უფრო სწორად, მთავარი მწვრთნელი იყო. მოედანზე თავმოჭრილი ბატებივით მოფაფხურე „არწივებს" (ალბანელთა მეტსახელია) ნამატჩევს თავი ანუ ზემოხსენებული სულეიმან დემოლარი სწორედ არმანდო დუკამ „მოაჭრა" და ახლა ახალი თავკაცის ძიებაშია. ამბობენ, ბალკანელებს მალე უცხოელ სპეციალისტი გაწვრთნისო.

ჩვენ კი შევახსენებთ, რომ ანდორამ ისტორიაში მეორედ გაიმარჯვა. პირველად ეს 2000 წლის აპრილში შეძლო, როცა ბელარუსს ასევე 2:0 სძლია. მეორედ გუშინ, 2002 წლის აპრილში (ისევ 2:0)... ნეტავ, ვის შეხვდება ჯუჯა სახელმწიფოს ეროვნული გუნდი 2004 წლის აპრილში? იმედია, საქართველოს არა...

**ბახა შალამბერიძე**

# ამხანაგური მატჩები

## გერმანია 0:1 არგენტინა

# ნაცრისფერია ფიოლერი



კრისტოფ მეცელდერმა ფეხი გაშალა და ხავიერ სავიოლას გადააბიჯა

0:1 სორინი (48)
გერმანია: ლემანი, მეცელდერი, იენს ნოვოტნი, ლინკე (ფ. ბაუმანი 46), ფრინგსი (მაქსი 83), იერემისი (ს. კელი 77), რამელო, ბიომე (რიკენი 46), ბალაკი, ბირჰოფი (იანკერი 70), კლოზე
არგენტინა: კავალიერო, პოჩეტინიო, ვ. სამუელი, კიროგა, ალმეიდა, სორინი, აიმარი (გალიარდო 30; სოლარი 61), გ. ლოპესი (სავიოლა 77), ხ. ძანეტი, კ. ლოპესი, კილი გონსალესი (პლასენტე 89)
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
54 570 მაყურებელი

„**შესაძლოა,** მოწინააღმდეგის დიდი პატივისცემის გამო თამაში არ გამოგვივიდა, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია და მასთან ნებისმიერს ძალიან გაუჭირდება. ზოგადად, ვფიქრობ, რომ არგენტინის დარი გუნდების დამარცხებაც შეგვიძლია, თუმცა ამისთვის სულ ცოტა ერთი გოლის გატანაა საჭირო. პირიქით კი მოხდა, სტუმრებმა ერთი ხომ შეაგდეს და კიდევ რომ დავესაჯეთ, არ გამიკვირდებოდა" — თქვა შტუტგარტული მატჩის შემდეგ ბუნდესმწვრთნელმა რუდი ფიოლერმა.

დამრიგებელს შეგირდიც დაეთანხმა, დღეისთვის გერმანიის უძლიერესმა ფეხბურთელმა, ლევერკუზენელმა მიხაელ ბალაკმა დასძინა: მართლაც ცუდად ვითამაშეთ და ეს, ალბათ, მოწინაალმდეგისადმი გადამეტებული მოწიწების ბრალიაო.

მარადიული არაფერიაო, ნათქვამია. აბა, სულ რამდენიმე წლის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ გერმანელები რომელიმე მეტოქის მიმართ „ზედმეტ პატივისცემაზე" ილაპარაკებდნენ. თუნდაც გერმანია — არგენტინის ორი ლეგენდარული ფინალი გავიხსენოთ 1986 და 1990 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე. სხვათა შორის, რუდი ფიოლერი იმ ორივე მატჩის მონაწილე გახლდათ და მექსიკაში, მარადონას ნაკრების კარში გოლიც გაიტანა, მაგრამ დღეს...

სამშაბათს შტუტგარტის „გოტლიბ დაიმლერ შტადიონზე" გერმანელებმა ახალი დიზაინის მაისურებით ითამაშეს და როგორც მერე „ბილდმა" დაწერა, ნაცრისფერფორმიანმა ბუნდესნაკრებმა ნაცრისფერი ფეხბურთი ითამაშაო. ადგილობრივი მედიისგან ფიოლერის ბიჭებმა შეფასებებიც დაბალი მიიღეს. მაგალითად, „კიკერმა" მხოლოდ ლინკესთვის გაიმეტა სამიანი, დანარჩენებს კი არნახულად ცუდი ქულები ჩამოუწერა. იქაურები იმასაც ამბობენ, ჩვენს ეროვნულ გუნდს ასე უსახურად ინგლისთან 1:5-ის მერე აღარ უთამაშიაო.

არგენტინელებმა, რომელთაც მიზეზთა გამო რობერტო აიალა, ხუან სებასტიან ვერონი, გაბრიელ ბატისტუტა და ერნან კრესპო არ ჰყავდათ, გამარჯვებისა მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანეს, გუსტავო ლოპესის პასს ხუან პაბლო სორინის ზუსტი თავური მოჰყვა.

ჩინებულად ითამაშა რომის „ლაციოს" თავდამსხმელმა კლაუდიო ლოპესმა. ოლივერ კანის მაგიერ მოთამაშე იენს ლემანმა ორჯერ მისი ურთულესი დარტყმები მოიგერია. 38-ე წუთზე კი „დორტმუნდის" მეკარემ გუსტავო ლოპესის მიძალებისას ივაჟკაცა. მანამდე მასპინძლებს შეეძლოთ თავის გამოჩენა, მე-15 წუთზე ბაიერნელი თომას ლინკეს თავური სტუმართა კარის ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში კი მოთამაშეებს ნერვებმა უმტყუნეს. გაწევ-გამოწევაც იყო და უხეშობაც. შედეგად მსაჯმა ხუთი ფეხბურთელი გააფრთხილა. ერთ ეპიზოდში კი იენს იერემისმა ისეთი უთავაზა მარსელო გალიარდოს, რომ კინაღამ მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დატოვა.

არგენტინელები ბოლომდე უკეთ ირჯებოდნენ, ხოლო მასპინძლებს ერთი ხეირიანი მომენტი ჰქონდათ და მაშინაც ბალაკმა უზუსტოდ დაარტყა საჯარიმო.

„ძალიან დაძაბული შეხვედრა გამოდგა, მაგრამ როცა გერმანიას ეთამაშები, ეს ბუნებრივიცაა. სხვა მხრივ კი მეტი სახიფათო მომენტები შევქმენით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ" — თქვა მერე სტუმართა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ეს არგენტინელთა ბოლო ამხანაგური მატჩი იყო. შემდეგ თამაშს ისინი უკვე 2 ივნისს ნიგერიასთან გამართავენ.

**სოლომონ გულისაშვილი**

## შოტლანდია 1:2 ნიგერია



ჯულიუს აგაოვამ და კრისტიან დეილიმ სამი გოლი მიითვალეს

# შოტლანდიაში პროგრესია

1:0 დეილი (7), 1:1, 1:2 აგაოვა (41, 70)
შოტლანდია: დუგლასი, სტოკდეილი (გ. კოლდუელი 46), კრეინი, ვეირი, დეილი, მაკნატონი, ლამბერტი, გ. უილიამსი (მ. სტიუარტი 64), ჯემილი (ალექსანდერი 46), ს. ტომპსონი (გ. ოკონორი 75), მაკკანი (ა. ჯონსტონი 79)
ნიგერია: ეჯიდი, იობო, ოკორონკვო, სოდჯე (ოდიაჰგა 85), კრისტოფერი, ეჯიოფორი, ოკოჩა, ნ. კანუ, უტაკა (იკედია 55), ოგბეჩე, აგაოვა
მსაჯი: ტომი ოვრები (უელსი)
20 465 მაყურებელი

**ბერტი ფოგტსმა** მეორე მატჩი ჩაატარა შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე და ისევ წააგო. ფრანგთაგან 0:5 დამარცხებულმა ამჯერად არასამარცხვინო მარცხი იკმარა.

კრისტიან დეილიმ ნიგერიას უკვე მე-7 წუთზე გაუტანა, თუმც „სუპერარწივთა" შესაჩერებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სწრაფმა გოლმა აფრიკელები გააბრაზა და საბოლოოდ შოტლანდიელთა მეკარე რობ დუგლასს სანაკრებო დებიუტი ჩაუმწარეს. დონეცკის „შახტარის" თავდამსხმელმა ჯულიუს აგაოვამ დუბლი გაახერხა.

ნვანკვო კანუმ სქოთების საჯარიმოში შახტარელი მოძებნა, აგაოვამაც სტეფან კრეინს დაასწრო და გაათანაბრა.

მეორე ნახევარი შოტლანდიამ პირველის დარად შეტევებით დაიწყო, თუმცა ბრიტანელების აქტიურობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 55-ე წუთზე ნიგერიელთა მწვრთნელმა ონიგბინდემ, რომელიც ნაკრების სათავეში ერთი თვის წინ ჩადგა, მოედანზე აიაქსელი მარჯვენაფლანგელი პიუს იკედია შეუშვა, რომელმაც ნიგერიელთა გამარჯვებაში დიდი წილი დაიდო. 70-ე წუთზე ოკოჩამ ფლანგზე აიაქსელს მიაწოდა, ამანაც შოტლანდიელ მცველებს ჩაუქროლა და აგაოვას პირდაპირ თავზე დაასვა ბურთი — 2:1.

დაწინაურებული ნიგერიელები დამშვიდდნენ და მასპინძლებს თამაშის ფრედ დასრულების იმედი მიეცათ. რამდენჯერმე ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ „სუპერარწივთა" მეკარეს, აუსტინ ეჯიდის ვერაფერი მოუხერხეს. ის კი არა, ბოლო წუთებზე აგაოვას მესამეს გატანაც შეეძლო. შოტლანდიელთა ბედად, მისი თავური ოდნავ ასცდა დუგლასის კარს.

**სერგი ძორიძე**

## პორტუგალია 1:1 ბრაზილია

# ფრეზე გაყრით ორივე კმაყოფილია

1:0 კონსეისაუ (60), 1:1 რონალდინიო (73პ)
პორტუგალია: რიკარდუ, ჟორჟე კოშტა, რუი ჟორჟე, ხავიერი, ფ. კოუტუ (ანდრადე 46), პაულუ ბენტუ, ფიგუ, ჟოაუ პინტუ (უგო ვიანა 61), პაულეტა (ბარბოსა 88), ა. პეტი, ს. კონსეისაუ
ბრაზილია: მარკოსი, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ანდერსონ პოლგა (კლებერსონი 62), რობერტო კარლოსი, ემერსონი, ჟილბერტო (ედილსონი 70), რონალდო (ფრანსა 46), რივალდო (დენილსონი 58), რონალდინიო
მსაჯი: ესკონას ტორესი (ესპანეთი)
46 000 მაყურებელი

**პორტუგალიამ** ბრაზილიასთან ფრე გააგორა და ნაწილობრივი რეაბილიტაცია მაინც მოახერხა. ყოველ შემთხვევაში, წინა ამხანაგურ მატჩში ფინელთაგან გვარიანად შერცხვენილი პორტუგალიელთა მწვრთნელი ანტონიო ოლივეირა შედეგით კმაყოფილი იყო, ისევე როგორც მისი ბრაზილიელი კოლეგა ლუიშ ფელიპე სკოლარი. ოლივეირამ თქვა: „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერ გუნდთან შეგვიძლია ღირსეულად თამაში. რაც მთავარია, უკომპლექსოდ, უშიშრად ვიბრძოლეთ და მოგებაც შეგვეძლო".

მას არც „დიდი ფილი" ჩამორჩა. მოგეხსენებათ, ტეტრაკამპეონებს დიდი ხანია, ყველაფრის გამო აკრიტიკებენ. ზოგს რომარიოს ნაკრებში გამოუძახებლობა არ მოსწონს, ზოგს თავად სკოლარი, ზოგიც წინა ამხანაგურ მატჩებში სუსტი მეტოქეების ყოლას უჩიოდა. ამის ფონზე კი, ბევრის აზრით (მაგალითად, პელეს), მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ პორტუგალიასთან სტუმრად არწაგება ბრაზილიისთვის ცუდი შედეგი არ უნდა იყოს.

სკოლარიმ თქვა: „მძიმე თამაში იყო, შესარჩევ ეტაპზე არგენტინასა და ურუგვაისთან მატჩების შემდეგ ასე არავისთან გაგვჭირვებია, ვფიქრობ, დღეს ჩვენი შესაძლებლობების 70 პროცენტი გამოვავლინეთ, რაც ურიგო ნამდვილად არაა, თან დღევანდელი გამოცდილება მსოფლიოს ჩემპიონატზეც დიდად წაგვადგება".

თამაშის წინ მოედანზე პელე და ეუსებიო გავიდნენ და ხალხს დაენახვნენ. მერე ბურთაობაც გაჩაღდა. თავიდან ოდნავი უპირატესობა ყოფილ მეტროპოლიას ჰქონდა, სამხრეთამერიკელები კი კონტრშეტევებით პასუხობდნენ, რომელთაგან განსაკუთრებით სახიფათო რონალდოს ორი გარღვევა გახლდათ. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე შანსი ჰქონდა რივალდოსაც — ლივერპულელი აბელ შავიერის პოზიციური შეცდომის შემდეგ — თუმცა ბარსელონელს დარტყმა გაუცუდდა. მასპინძელთა საუკეთესო მომენტები, პირველ ნახევარში, ფერნანდუ კოუტუს თავურებს მოჰყვა, ორივეჯერ ფიგუს ჩაწოდებების შედეგად.

მეორე ტაიმში, პორტუგალიამ მძლავრად შეუტია და მალევე იხეირა. ფიგუმ ცენტრიდან კონსეისაუ მოძებნა, ვინაც ბურთი კორპუსით დაფარა და მარკოსს მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

ამ დროისთვის სკოლარის სამი ფორვარდიდან ორი, რივალდო და რონალდო, შეცვლილი ჰყავდა, თუმცა ტეტრაკამპეონებმა მაინც გაათანაბრეს. პორტუგალიელთა გამოცდილმა მცველმა რუი ჟორჟემ საჯარიმოში შეჭრილი ედილსონი წააქცია, ხოლო პენალტი რონალდინიომ გაიტანა.

ამის მერე გუნდები ძალიან ფრთხილობდნენ და საბოლოოდ სასურველი ფრით გაიყარნენ.

რონალდოზე კი ლუიშ ფელიპე სკოლარიმ დასძინა: „ძალიან მიხარია, რომ ის ფორმაში შედის, სასურველ კონდიციებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია, მაგრამ ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე კიდევ უფრო კარგ ფორმაში ჩადგება. ჩვენი ორი საუკეთესო შანსი პირველ ტაიმში სწორედ რონალდომ შექმნა."

**სერგი ძორიძე**



ჟილბერტო სილვა (№8) ფიგუურ ფინტებს დაუხვდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ჩრდ. ირლანდია 0:5 ესპანეთი



რაულმა (№7) ბრიტანელები წამოიკიდა

### ვინ თქვა, წვიმა ბრიტანელების არისო

0:1 რაული (23), 0:2 ბარახა (48), 0:3 რაული (54), 0:4 პუიოლი (70), 0:5 მორიენტესი (79)
ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი (კეროლი 46), ი. ნოლანი, მაკკარტნი, ა. ჰიუზი, მ. უილიამსი, დ. ჯონსონი, ჰორლოკი, ს. ელიოტი, ფინი (მაკევილი 64), გილესპი (მაკკურტი 74), დ. ჰელი
ესპანეთი: კანისარესი (კასილიასი 76), პუიოლი, იერო (სერხიო 76), ნადალი (კურო ტორესი 46), ხუანფრანი, ხოაკინი (ვალერონი 46), ბარახა, ალბელდა (ი. ელგერა 46), დე პედრო (მენდიეტა 46), რაული, მორიენტესი
მსაჯი: კენი კლარკი (შოტლანდია)
20 000 მაყურებელი

**ჩრდილოეთ ირლანდიას** სამხრეთიდან შეჭრილმა ტორნადომ გადაუარა. „უინძორ პარკზე" შეკრებილი მაყურებელი მათი ქვეყნის ნაკრების კარში გატანილი ხუთი გოლის მნახველი შეიქნა. ესპანეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ბოლო საკონტროლო მატჩში პირწმინდად დაამარცხა ბრიტანელები და ძალიანაც გაიხარა. „უინძორ პარკზე" 5:0 მოგება იოლი არ გახლავთ. დღევანდელი მატჩით კმაყოფილი დავრჩი" — თქვა პირინეელთა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ.

ბელფასტის სტადიონზე, თავსხმა წვიმაში მაყურებელი ხეირიანად არც მოკალათებული, როცა ესპანელებმა პირველი საგოლე მომენტი შექმნეს. დე პედრომ და ხოაკინმა კომბინაცია გაითამაშეს, საქმეში რაულიც ჩართეს, თუმცა ბრიტანელმა მცველმა აარონ ჰიუზმა იყოჩაღა და ვითარება განმუხტა. მოგვიანებით კი რაულმა მაინც თქვა თავისი სიტყვა — დუბლი შეასრულა.

საერთოდ დე პედროც და ხოაკინიც ძალიან აქტიურობდნენ. ანგარიში პირველის მიერ ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა. სანამ მასპინძლები დაბნეულნი შესჩერებოდნენ მათ საჯარიმოში ჩაკიდულ ბურთს, რაულმა მუხლით დაჰკრა და კარში გადაგზავნა. ხოლო ხუთიოდ წუთში ხოაკინმა ძელი შეაზანზარა.

მეორე ბურთი, 48-ე წუთზე, რაულის შემწეობით რუბენ ბარახამ შეაგდო. ვალენსიელმა მოხერხებული ილეთით დააბნია მასპინძლები და საგოლედ დაარტყა. მერე ისევ რაულმა იხეირა, ამჯერად საჯარიმოს მისადგომიდან ცაციათი დაარტყა და ჩრდილოელი მეკარე სახტად დატოვა.

სადაც რეალელმა და ვალენსიელმა გაიტანეს, ბარსელონელიც არ ჩამორჩა და კარლეს პუიოლმა მეოთხედ დალაშქრა მეტოქის კარი. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საგოლე მომენტი რეალელმა ივან ელგერამ შექმნა — მისი თავური დარტყმა როი კეროლმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერია, რის მერეც ბურთი პუიოლის ნადავლი გახდა და ზუსტად დაამატა.

რამდენიმე წუთში რაულმა ჩინებული შანსი ვერ გამოიყენა დუბლის ჰეთ თრიქად საქცევად. სამაგიეროდ, იხეირა მორიენტესმა, რომელმაც საფინალო სასტვენამდე 11 წუთით ადრე ხუთამდე გაზარდა ანგარიში. გარჯა არ უნდა დავუკარგოთ ხუან კარლოს ვალერონსაც, რომელიც მორიენტესის გოლის შემქმნელი გახლდათ.

მთლიანობაში ვალერონი კარგად გაისარჯა ნახევარდაცვაში, ისევე როგორც გაისკა მენდიეტა, რომელსაც თითქმის ერთი სეზონის უთამაშებლობამ, ცხადია, ხელი დაატყო, თუმცა ამ შეხვედრაში მაინც ცდილობდა კამაჩოზე შთაბეჭდილების მოხდენას (ვალერონიც და მენდიეტაც მეორე ტაიმში შევიდნენ მოედანზე).

თამაშამდე ვარჯიშისას მცირედ დაშავდა დიეგო ტრისტანი, რომელსაც შესაძლოა, ორი კვირა გაუცდეს, თუმცა კამაჩოს, რომელმაც მანამდე ფეხბურთელები გააფრთხილა, მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩენილ თვენახევარში მწვავე შეტაკებებს მოერიდეთო, „დეპორტივოს" ფორვარდის მწყობრიდან გამოსვლაზე გული არ გახეთქია, იმედი მაქვს, ტრისტანი მუნდიალზე კარგ ფორმაში იქნებაო.

**ნიკა შუბლაძე**



ავსტრია — კამერუნი. მარკუს ვაისენბერგერი ბილ ჩატოს უკან გაფრინდა

**ავსტრია 0:0 კამერუნი**
ავსტრია: მანინგერი, ფელდჰოფერი, ბაური, ჰუფშმიდი, შარნერი, ვიმერი (კიცბიხლერი 73), ვალნერი (მაირლები 58), პანისი (მოელერი 90), ვასტიჩი (ჰიდენი 63), ჰერცოგი (ლინცი 88), ვაისენბერგერი (დოსპელი 90)
კამერუნი: სონგო (კამენი 46), სონგი, ჩატო, ჯერემი, ლორენი (ჯემბა 72), ფოე, ნჯანკა, მეტომო, ოლემბე (კომე 61), ეტოო (კიოიო 85), ჟობი (სუფო 46)
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
32 100 მაყურებელი

**ნორვეგია 0:0 შვედეთი**
ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბერგი (ბორგერსენი 68), ბასმა (ბაკე 58), ივერსენი, კარეუ (ფლო 68), ლეონარდსენი (ი. სორენსენი 68), ტ. ანდერსენი, სოლსკიაერი (რ. სტრანდი 68), რიისე (ტ. პერეირა 90)
შვედეთი: კოლშტედტი, მელბერგი, მიხაელ სვენსონი, მიალბი (იაკობსონი 74), ლუკიჩი (ანტონელიუსი 46), ლინდეროტი, ალექსანდერსონი (ა. ანდერსონი 74), ლიუნგბერგი (მაგნუს სვენსონი 46), ოლბოკი (სელაკოვიჩი 74), ლარსონი (იბრაჰიმოვიჩი 74), ლანცი (დ. ანდერსონი 74)
მსაჯი: ქნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)
20 759 მაყურებელი

**იაპონია 1:1 კოსტა რიკა**
1:0 მიონი (70), 1:1 პარქსი (77)

**მაკედონია 1:0 ფინეთი**
1:0 სტავრევსკი (36)

**პოლონეთი 1:2 რუმინეთი**
0:1 განია (30), 0:2 მუტუ (35), 1:2 პაიტო (85)

**იუგოსლავია 4:1 ლიტვა**
1:0 ს. ილიჩი (16), 1:1 რ. ფუტაუტასი (20), 2:1, 3:1 კეჟმანი (35, 76), 4:1 ბოჟან ბრნოვიჩი (87)

**უნგრეთი 2:5 ბელარუსი**
1:0 კენეში (13), 1:1 გლები (22), 1:2, 1:3 კუტუზოვი (29, 33), 1:4 ხაცკევიჩი (44), 1:5 კაჩური (76), 2:5 მ. ფეჰერი (86პ)

**ხორვატია 2:0 ბოსნია**
1:0 ოლიჩი (44), 2:0 შუკერი (54პ)

**მალტა 1:0 აზერბაიჯანი**
1:0 მიფსუდი (55)

**დანია 3:1 ისრაელი**
1:0 ი. პაინცე (4), 2:0 ტომასონი (14), 3:0 რომედალი (37), 3:1 ნიმნი (90პ)

**თურქეთი 2:0 ჩილე**
1:0 შუქური (30), 2:0 ილჰანი (81)

**ბელგია 1:1 სლოვაკეთი**
1:0 გოორი (55), 1:1 იანოჩკო (82)

**სლოვენია 1:0 ტუნისი**
1:0 პავლინი (23)

**მექსიკა 1:0 ბულგარეთი**
1:0 ჯ. გაბრიელი (90)

**ლატვია 2:1 ყაზახეთი**
0:1 მ. შევჩენკო (45), 1:1 ზემლინსკისი (75პ), 2:1 შტოლცერსი (89)

**საბერძნეთი 0:0 ჩეხეთი**

**სამხრეთ აფრიკა 0:0 ეკვადორი**

**ლუქსემბურგი 3:3 ლიხტენშტაინი**

## იტალია 1:1 ურუგვაი

### ჯოვანი გრძელდება



მარკო დი ვაიოს (№21) გოლამდე ცოტალა დააკლდა

1:0 პანუჩი (73), 1:1 აბრეუ (77)
იტალია: ბუფონი (ტოლდო 46), პანუჩი, ნესტა, ფ. კანავარო (ბონერა 74), ძამბროტა (კ. ძანეტი 76), ტომაზი (ფიორე 58), დი ბიაჯო (ამბროზინი 58), ტაკინარდი (გატუზო 46), პესოტო (ადანი 7), ფ. ინძაგი (დი ვაიო 46), დელ პიერო (მონტელა 46)
ურუგვაი: კარინი (მუნუა 63), ბიზერა, ლემბო (გიგუ 68), გ. მენდესი (რეგუეირო 74), დ. როდრიგესი (ლეგურენი 85), პ. გარსია (აბრეუ 58), ფ. ონილი (დ. პერესი 67), ვარელა (ფორლანი 74), დარიო სილვა (რ. მორალესი 58), რეკობა (დე ლოს სანტოსი 58), მაგალიანესი (ოლივერა 67)
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
16 773 მაყურებელი

**მატჩამდე** რამდენიმე საათით ადრე მოსახდენი მოხდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ჯოვანი ტრაპატონის კონტრაქტი გაუგრძელა. „სკუადრა აძურას" თავკაცმა, რაც დინო ძოფი შეცვალა, ნაკრები 15-ჯერ გაიყვანა სათამაშოდ, მარცხი კი მხოლოდ ერთხელ, რომში არგენტინასთან იგემა. „მილანის", „იუვენტუსის", „ინტერის" და „ბაიერნის" მწვრთნელყოფილს ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარაროსმ გარჯა დაუფასა — კონტრაქტი 2004 წლის ბოლომდე გაუხანგრძლივა. 63 წლის სპეციალისტი კმაყოფილი ჩანდა: „სიმართლე გითხრათ, წასვლას არც ვაპირებდი, ამის შესახებ პრეზიდენტთან ადრევე ვისაუბრე. უბრალოდ, მოფიქრებისთვის დრო ვითხოვე და გადაწყვეტილება მივიღე. ჩემი საქმე მომწონს, აგერ უკვე 30 წელიწადია, ვმწვრთნელობ. სანამ შემეძლება, სიამოვნებით გავაგრძელებ." ჯოვანი ტრაპატონის ამ ნაბიჯმა საბოლოოდ მოსპო ჭორები „ლაციოში" მისი გადასვლის შესახებ.

ტრაპატონის მეთექვსმეტე მატჩი იძულებითი ცვლილებით დაიწყო. ბარსელონელი ფრანჩესკო კოკოს ნაცვლად, რომელმაც ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, ტრაპატონიმ იუვენტუსელი ჯანლუკა პესოტო ათამაშა. პესოტომ მიმოხედვაც ვერ მოასწრო, რომ მოედნიდან გასაყვანი შეიქნა. როგორც შემდგომ გაირკვა, მას მუხლი დაუზიანებია. ნაკრების ექიმმა ნამატჩევს თქვა: „ვეჭვობ, რომ ტრავმა სერიოზულია, თუმც ნეტავ, ვცდებოდე". პესოტომ შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს.

მატჩი საშუალო ამხანაგურ ტემპში მიმდინარეობდა. სტუმრები სულაც არ დამფრთხალან მასპინძელთა შეტევებისგან და შეძლებისდაგვარად იქით იჩხვლიტებოდნენ. ერთხელ ალვარო რეკობას შეექმნა ხელსაყრელი მომენტი, მერე ტურინელმა ძამბროტამ კარინის კარისკენ ჰკრა ბურთი. მეკარის მოგერიებულს ფილიპო ინძაგიმ მიუსწრო და, როგორც ხშირად სჩვევია, გასატანი ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმში იტალიელებმა ნელნელა მარწუხებს მოუჭირეს, გოლი ცხვებოდა და ფიორეს კუთხურიდან ჩაწოდებულს პანუჩიმ მიუჩინა კარში ადგილი. მაგრამ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს სიხარული მალევე გაუნელდათ — რეკობას შემცვლელმა აბრეუმ მორალესის პასი შეირგო და ბურთი ბადეში გამოამწყვდია. ამის მერე დი ვაიოსა და მონტელას რამდენიმე შანსი მიეცათ, თუმც ამაოდ დაშვრნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



იაპონია — კოსტა რიკა. ჩამოვარდნილ ბადეს კოსტარიკელები აი, ასე ამაგრებდნენ

**ახალგაზრდულები**

| | |
|---|---|
| ბელგია 3:1 სლოვაკეთი | შვეიცარია 0:3 ჩეხეთი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ინგლისი 4:0 პარაგვაი

# ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან...




ტედი შერინგემმა სელსო აიალა (№5) საავტოგოლედ შეავიწროვა

1:0 ოუენი (4), 2:0 მერფი (47), 3:0 ვასელი (55), 4:0 აიალა (78ა.კ.)
ინგლისი: სიმენი, ბრიჯი (ფ. ნევილი 69), საუთგეიტი (ლამპარდი 69), კიოუნი (მილსი 46), გ. ნევილი (კარაგერი 69), დაიერი (დ. მერფი 46), სქოულზი (ტ. სინკლერი 46), ბათი (ჯ. კოული 46), ჯერარდი (ჰარგრივსი 46), ოუენი (ფაულერი 46), ვასელი (შერინგემი 70)
პარაგვაი: ტავარელი, არსე, გამარა (ხ. კასერესი 82), ს. აიალა, კანისა, სტრუვაი, ბონეტი (მორინიგო 83), გავილანი (სარაბია 57), კ. პარედესი, სანტა კრუზი, ხ. კარდოზო (ბაესი 61)
მსაჯი: კოზიმო ბოლონინი (იტალია)
42 713 მაყურებელი

**დევიდ ბექემი** არ იყო და გუნდი კაპიტნის სამკლავურით ყმაწვილმა მაიკლ ოუენმა გაიყვანა. ინგლისის იმედს თავი არც კაპიტნობით შეურცხვენია და არც თამაშით. მან შეხვედრის დაწყებისთანავე გაიტანა, რასაც ინგლისელებმა სამიც მიუმატეს და პარაგვაის ნაკრები 4:0 გაანადგურეს.

დევიდ ბექემის არყოფნა კაპიტნობის გარდა კიდევ უფრო დიდ სირთულეს ქმნიდა მის ჩვეულ პოზიციაზე — მარჯვენა ფლანგზე. თუმცა ღირსეული შემცვლელი აქაც გამოინახა, ყოველ შემთხვევაში, ამ ერთ თამაშში ასე გამოჩნდა — ყმაწვილმა ლივერპულელმა სტივენ ჯერარდმა გაიბრწყინა და პრესამ დიდადაც შეაქო. მეტიც, მან ბექემის კიდევ ერთი მოვალეობა — ჯარიმების შესრულება იკისრა და არც ეს საქმე გამოსვლია ურიგოდ.

კირონ დაიერმაც რთული მისიის შესრულება ითავა, მას მარცხენა ფლანგის კონტროლი დაევალა, თუმცა მაინცადამაინც არ მოუკრეფია ციდან ვარსკვლავები და სვენ გორან ერიქსონმა ნიუკასლელი შესვენებაზე დენი მერფით შეცვალა, ოღონდ პოზიცია შეუცვალა. დაიერის ადგილზე კი ნიკი ბათის შემცვლელი ყრმა ჯო კოული გაამწესა. კოულმა და მერფიმ რამდენიმე წუთში უფრო მეტის გაკეთება მოახერხეს, ვიდრე დაიერმა მთელ ტაიმში.

კოულმა საგოლე კომბინაციას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც რობი ფაულერმა გააგრძელა და დენი მერფიმ მარჯვენა ფეხით, მოჭრილი დარტყმით დააგვირგვინა.

და კვლავ ქება და ქება ჯო კოულს, რომელმაც მესამე გოლშიც დაიდო წილი. ამჯერად დიეგო გავილანს ბურთი აართვა და კარგა მანძილი ირბინა. შემდეგ დარიუს ვასელს მიაწოდა და მანაც თავი არ შეირცხვინა. სხვათა შორის, სვენ გორან ერიკსონს ამ მატჩამდე ვასელისა და კოულის ნაკრებში აყვანა და კორეა-იაპონიაში თან ხლება არ ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი. თუმცა კანდიდატებს შორის ორივე დასახელებული ჰყავდა.

უცნობია, გადაწყვეტს თუ არა შვედი ოუენ ჰარგრივსის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანას. თუმც ფაქტია, რომ პარაგვაისთან მატჩში მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა თავისი საქმე პირნათლად შეასრულა. ისიც მეორე ტაიმში გავიდა მოედანზე და, როგორც ბრიტანული პრესა წერს, კლდესავით შეუვალი იყო შუახაზში.

მეოთხე გოლი 78-ე წუთზე გავიდა. პარაგვაელმა სელსო აიალამ საკუთარი კარი დალაშქრა. მანამდე კი რობი ფაულერმა იაქტიურა — დაარტყა, საჰაერო ბრძოლაში კი აიალა ტედი შერინგემმა შეავიწროვა და პარაგვაელისგან ასხლეტილი ბურთი კარში შევარდა.

ჯო კოულს ერთის გატანა თავადაც შეეძლო, მაგრამ პარაგვაელთა კარი მეხუთე გოლს სასწაულით გადაურჩა. სტუმართაგან კი როკე სანტა კრუზმა შექმნა ყველაზე სახიფათო მომენტი, თუმც მატჩის მიწურულს მისმა თავურმა ახლო მანძილიდან ახლოს ჩაუფრინა ინგლისის კარს.

„წინა თამაშები არცთუ მაღალ დონეზე ჩავატარეთ, თუმც ახლა ისევ დავამტკიცეთ, რომ შეგვწევს ძალა, ძლიერად ვითამაშოთ. ეს ბოლო საკონტროლო მატჩი იყო და ძალიან სასიხარულოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებულის განწყობით გავემგზავრებით“ — ბრძანა ინგლისელთა ახალგამომცხვარმა კაპიტანმა.

სვენ გორან ერიკსონმა კი განსაკუთრებით სტივენ ჯერარდი შეაქო: „სტივენი ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია მსოფლიოში. ცენტრშიც ძლიერია და ფლანგებზეც. საერთოდ კი, დღეს ბევრმა ფეხბურთელმა დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლას იმსახურებ“.

**ნიკა შუღლაძე**

# ქრთამმა სეგუნდა ვერ გაანათა

**წინა უქმეებზე** ესპანეთის სეგუნდადივიზიონის ბინადარმა „ლევანტემ“ შინ 1:2 წააგო „ლეგანესთან“, რითაც თავად გასავარდნთა ზონაში დარჩა, მეტოქეს კი ოდნავი შვება მოჰგვარა.

ახლა კი ირკვევა, რომ „ლევანტეს“ ბოსებს ისე ძლიერ სდომებიათ ამ მატჩის მოგება, ლეგანესელ მცველ დავიდ კლოტეს მოქრთამვა უცდიათ, ერთი-ორი ისეთი შეცდომა დაუშვი, თამაში რომ მოგვაგებინოსო. მაგრამ ანგარიშიდანაც მიხვდებოდით, არაფერი გამოვიდა. და საიდან გაიგო ეს ამბავი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ, მისგან კი ჩვენ? „ლეგანესის“ პრეზიდენტმა ხესუს პოლომ სახალხოდ განაცხადა, წარმოგიდგენიათ, ჩემს ფეხბურთელს ეს რა ჰკადრესო?!

სხვათა შორის, აღნიშნულ მატჩში „ლეგანესმა“ გამარჯვების გოლი 85-ე წუთზე გაიტანა.

ფედერაცია კი საქმის გამოძიებას შეუდგა და პირველ რიგში პოლოს, კლოტესა და „ლეგანესის“ მწვრთნელის კარლოს სანჩესის დაკითხვას აპირებს, რის მერეც ცხადია, ლევანტელებს გამოიძახებს. ხოლო იქამდე „ლევანტეს“ ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, მოქრთამვის მცდელობის ფაქტს უარყოფს.

ისე, კაცმა რომ თქვას, წარმოუდგენელი არაფერია, რაკი „ლევანტეს“ ისეთი განრიგი აქვს, უარესს ვერ წარმოიდგენ.

სეგუნდადივიზიონში სეზონის დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა და ოთხი გუნდი ვარდება. ამ ექვსი მატჩიდან კი „ლევანტეს“ ოთხი სტუმრად აქვს გასამართი: მეორეადგილოსან „ხერესთან“, მეცხრეადგილოსან „სალამანკასთან“ და მერვეადგილოსან „სპორტინგთან“, რომელთაც პრიმერადივიზიონში ასვლის შანსი ჯერ არ დაუკარგავთ, ასევე სახიფათო ზონაში მყოფ „ნუმანსიასთან“. მოკლედ, ამ ოთხ შეხვედრაში „ლევანტეს“ ქულების დაგროვების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს, ხოლო შინ პრიმერაში გადასვლის მოსურნე „უელვას“ და სახიფათო ზონაში მყოფ „ბადახოსს“ ხვდება.

და სანამ ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ჩაწყობა-არჩაწყობის ამბავს გაარკვევს, ერთი საქმე მოითავა — „რეალ ბეტისის“ „მანუელ რუის დე ლოპედას“ სტადიონს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა, კლუბი კი სამი ათასი ევროთი დააჯარიმა. ბეტისელებს კიდევ გაუმართლათ, რადგან ქვეყნის მთავრობაში არსებული საგანგებო სიტუაციათა კომისია სტადიონისთვის ერთთვიან დისკვალიფიკაციას, ხოლო კლუბისთვის ოთხმოცდაათიათასიან ჯარიმას ითხოვდა ფედერაციისგან.

სასჯელი კი 23 მარტის „ბეტისი“ — „სევილიას“ სევილიური დერბისას მომხდარ ამბებს მოჰყვა. „ბეტისის“ ფანებმა სტუმართა გულშემატკივრებს მაშხალები ესროლეს და სხვა ულირსი საქმეებიც ჩაიდინეს.



ხესუს პოლო

ოღონდ შევნიშნოთ, რომ „ბეტისის“ ხელმძღვანელობამ განაჩენის გასაუქმებლად აპელაცია შეიტანა, რომლის განხილვამდეც დისკვალიფიკაცია ძალაში არ შევა. ამ სეზონში „ბეტისს“ ორი საშინაო მატჩი დარჩა — „რეალ სოსიედადთან“ და „დეპორტივოსთან“ და თუ აპელაციის განხილვა იქამდე არ მოესწრო, განაჩენი კი ძალაში დარჩა, სტადიონს დისკვალიფიკაციას მომდევნო სეზონში გადაუტანენ.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 36 | 20 | 8 | 8 | 56:34 | 68 |
| ხერესი | 36 | 18 | 8 | 10 | 37:33 | 62 |
| რასინგი | 36 | 16 | 12 | 8 | 50:35 | 60 |
| უელვა | 36 | 15 | 14 | 7 | 39:28 | 59 |
| ოვიედო | 36 | 13 | 18 | 5 | 34:23 | 57 |
| ელჩე | 36 | 14 | 11 | 11 | 43:36 | 53 |
| ალბასეტე | 36 | 14 | 10 | 12 | 39:32 | 52 |
| სპორტინგი | 36 | 13 | 13 | 10 | 45:39 | 52 |
| სალამანკა | 36 | 12 | 14 | 10 | 45:43 | 50 |
| ბურგოსი | 36 | 12 | 14 | 10 | 28:29 | 50 |
| ფეროლი | 36 | 14 | 6 | 16 | 50:49 | 48 |
| კორდობა | 36 | 12 | 10 | 14 | 39:40 | 46 |
| ეიბარი | 36 | 10 | 14 | 12 | 34:26 | 44 |
| **ლეგანესი** | 36 | 10 | 14 | 12 | 31:37 | 44 |
| ბადახოსი | 36 | 12 | 7 | 17 | 36:46 | 43 |
| პოლი ეხიდო | 36 | 10 | 11 | 15 | 32:41 | 41 |
| ნუმანსია | 36 | 10 | 11 | 15 | 37:48 | 41 |
| მურსია | 36 | 9 | 13 | 14 | 29:36 | 40 |
| ხაენი | 36 | 10 | 9 | 17 | 28:44 | 39 |
| ექსტრემადურა | 36 | 9 | 11 | 16 | 30:39 | 38 |
| **ლევანტე** | 36 | 8 | 14 | 14 | 36:51 | 38 |
| ხიმნასტიკი | 36 | 9 | 10 | 17 | 32:41 | 37 |



დავიდ კლოტე (მარჯვნივ) „ლევანტეს“ არ დანებდა

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „პარმას“ ფრანგმა ნახევარმცველმა იოან მიკუმ განაცხადა, რომ არასდროს დაუკარგავს საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის იმედი. „ძალიან მიხარია, რომ როჟე ლემერმა რუსებთან სათამაშოდ ნაკრებში მიმიწვია. დიდი ხანია, ამას ველოდი“ — თქვა იოან მიკუმ.

**ინგლისის ასოციაციის თასის ფინალი 4 მაისს კარდიფში ჩატარდება, თუმც „არსენალსა“ და „ჩელსის“ ფანები შესაძლოა, უელსის დედაქალაქში გამგზავრებისას დიდი პრობლემები შეექმნათ. ამის გამო რკინიგზის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა გულშემატკივრებს, დააჯავშნინონ ადგილები ვაგონებში, რათა დამატებითი სირთულეები თავიდან აიცილონ.**

**ბელგიის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, თუმც იქაურ პრესაში უკვე ყოველდღიურად იწერება, რომ მთავარი მწვრთნელი რობერ ვასეჟი მალე ლიეჟის „სტანდარტს“ ჩაუდგება სათავეში. „ამ საკითხს უთუოდ განვიხილავთ. ვასეჟმა განაცხადა, რომ „სტანდარტთან“ არავითარ მოლაპარაკებებს არ აწარმოებს, თუმც ეს ებვრს არ ნიშნავს. საინტერესოა, რატომ გაჩნდა ეს ჭორები საერთოდ? სწორედ ამის გამოკვლევას ვაპირებთ“ — განაცხადა ბელგიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა იან პეტერსმა.

**ინგლისური „ქოვენთრის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი როლან ნილსონი და მისი თანაშემწე ჯიმ სმიტი გაათავისუფლა. მიზეზად ჩემპიონატში სუსტი გამოსვლა დასახელდა. შეგახსენებთ, რომ შვედეთის ნაკრების ყოფილი წევრი როლან ნილსონი „ქოვენთრის“ შარშან ოქტომბერში ჩაუდგა სათავეში. ახლა „ქოვენთრის“ მეკარეთა მწვრთნელი სტივ ოგრიზოვიჩი და სარეზერვო გუნდის თავკაცი ტრევორ პიკი უხელმძღვანელებენ.**

**ესპანური** „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა გუნდის კაპიტან აბელარდოს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ასეთივე წინადადებით გასპარმა ცოტა ხნის წინ ფრანკ დე ბრსაც მიმართა, თუმც ჰოლანდიელმა თავი შორს დაიჭირა. „აბელარდომ ჩვენი ნდობა დაიმსახურა. ის კარგი ფეხბურთელია და ახალი ხელშეკრულებაც, ალაბთ, მალე გაფორმდება. ასევე ძალიან მინდა, რივალდომ კვლავ ჩვენთან ითამაშოს. ის მსოფლიოში პირველია. კარგი იქნება, თუ შეთანხმებას მივაღწევთ და ბრაზილიელი კლუბში დარჩება“ — განაცხად ხუან გასპარმა.

**ინგლისური „ტოტენჰემის“ უკრაინელმა ლეგიონერმა სერგეი რებროვმა კლუბში საქმეები ჯერაც ვერ ააწყო, ვერა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. „რებროვი კარგი ფეხბურთელია. მე ამაზე თვალი არასოდეს დამიხუჭავს, თუმც მან თავისი სიძლიერე პრემიერლიგის მატჩებში უნდა დაამტკიცოს. მისი დღემდე მჯერა. იმედი მაქვს, მალე ძირითადშიც მოიპოვებს ადგილს“ — განაცხადა „ტოტენჰემის“ თავკაცმა გლენ ჰოდლმა.**

**გერმანიის** ნაკრების და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი გამოჯანმრთელდა და მომავალ ტურში „ჰერტთან“ მატჩში ითამაშებს. 31 წლის ფეხბურთელის მწყობრში ჩადგომა ნაკრების თავკაც რუდი ფიოლერსაც ერთობ ეამა.

**ჩინეთის** ნაკრების მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით, საკუთარი კომერციული საქმიანობის შეჩერება გადაწყვიტა, რათა მთელი ყურადღება ნაკრების მომზადებაზე გადაიტანოს. ჩინური პრესის გამოთვლით, ნაკრებში მუშაობის პერიოდში მილუტინოვიჩი სერბი ჩინური საქონლის უამრავ რეკლამაში გადაიღეს და ჯამში სამ მილიონ დოლარამდე გამოიმუშავა.

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## G ჯგუფი: იტალია, ეკვადორი ხორვატია მექსიკა



ფართობი: 56 538 კმ²
მოსახლეობა: 4 280 000
დედაქალაქი: ზაგრები
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1912 წელს (იუგოსლავიის დაშლის შემდეგ აღდგა 1991 წელს)
ფიფას წევრი 1992 წლიდან
უეფას წევრი 1992 წლიდან
ფედერაციის პრეზიდენტი: ვლატკო მარკოვიჩი
გენერალური მდივანი: ზორისლავ სრებრიჩი
სტადიონი: „მაკსიმირი" (60 000)
მწვრთნელი: მირკო იოზიჩი
კაპიტანი: რობერტ პროსინეჩკი
ფორმა: წითელ-თეთრი მაისურა, თეთრი ტრუსი, ლურჯი გეტრები
ტიტულიანი კლუბები: „დინამო" (ზაგრები), „ჰაიდუკი", „ოსიეკი", „ვარტექსი", „რიეკა", „ჰრვატსკი დრაგოვოლიაცი"
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 23






# ბრინჯაოს ხანიდან ოქროს ხანამდე?

**მსოფლიოს** ჩემპიონატზე ბრინჯაოს რომ მოიპოვებ და შემდეგ შედეგის გაუმჯობესებაზე იფიქრებ, ეს, ცხადია, კარგია. რამდენად მოახერხებენ ამას ხორვატები, კორეა-იაპონიის მინდვრებზე გამოჩნდება, თუმცა ბრინჯაოს ვერცხლზე თუ ოქროზე გაცვლა იოლად რომ ვერ გამოუვათ, ესეც ფაქტია.

ექვსი წლის წინათ აალაპარაკა ხორვატიამ მსოფლიო, როცა ინგლისის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში მომავალმა ჩემპიონებმა, გერმანელებმა ბალკანელები რის ვაი-ვაგლახით დაამარცხეს. ორი წლის მერე ხორვატებმა სულაც სენსაცია გამოაცხვეს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გერმანიას ორი წლის წინანდელი მარცხი სულ ცხვირში აღინეს (3:0), ნახევარფინალში საფრანგეთთან, უფრო სწორად, ლილიან ტურამთან დამარცხდნენ — გეხსომებათ, ტურამმა ორი გოლი რომ შეუგდო ხორვატებს, ბრინჯაოსთვის კი ჯორვატებმა ჰოლანდია დააჩოქეს.

ხორვატიამ აალაპარაკა მსოფლიო და ალაპარაკდნენ საქართველოშიც. როგორც კი ჩვენი ეროვნული გუნდი წააგებდა, ყველა, დიდი თუ პატარა, ხელს ხორვატებისკენ იშვერდა, ჩვენმა ფეხბურთელებმა სწორედ მათ უნდა მიბაძონ, განა მათ არ უჭირთ, მაგრამ ხედავთ, რასაც აკეთებენო.

ახლაც მირკო იოზიჩის გუნდმა ევროპულ, მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ბელგია და შოტლანდია მოიტოვა. თუ გაინტერესებთ, რის ხარჯზე მოიპოვა ხორვატიამ მუნდიალის საგზური ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე, მირკო იოზიჩს მოვუსმინოთ: „ჩვენ კორეა-იაპონიაში დამსახურებულად მივდივართ. დისციპლინა უმაღლესი, ატმოსფერო ჩინებული, ფსიქოლოგია გაწონასწორებული" — ცოტა ბაქიბუქი კი გამოსდის, მაგრამ რას ვერჩით, ისინი ხომ ზედიზედ მეორედ მიდიან მსოფლიოს საფეხბურთო ფორუმზე.

ბობანი, ბილიჩი, ლადიჩი, ასანოვიჩი... ეს ის ხალხია, რომელთაც ოთხი წლის წინანდელი ბრინჯაო გამოჭედეს თანგუნდელებთან ერთად. ამათგან ახლანდელ გუნდში არც ერთია, სანაცვლოდ ახალი სისხლი დუღს. ტუდორი, ძმები კოვაჩები, შიმიჩი, ვუგრინეცი, სტანიჩი, ბალაბანი, პლეტიკოშა. აქვე არიან ვეტერანებიც — პროსინეჩკი, შუკერი, სოლდო...

„ჯგუფიდან ჩვენ და იტალია უნდა გავიდეთ" — ამბობს იოზიჩი და მისი სიტყვები ხორვატიაშიც სჯერათ. იოზიჩი დასძენს: „მექსიკას კარგად ვიცნობ. ერთხანს იქაც ვმუშაობდი და ასე თუ ისე მათ ფეხბურთზე და ინფრასტრუქტურაზე წარმოდგენაც მაქვს. ეკვადორის შესაძლებლობებზე კი, რა უნდა ვთქვა, შესარჩევში ბრაზილიის დამარცხება თავისთავად მრავლისმეტყველია. თუმცა მათ აუცილებლად უნდა ვძლიოთ."



1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე დავორ შუკერი იყო

მწვრთნელს ჟურნალისტები იტალიასთან მატჩზეც დაეკითხნენ: „იგორ ტუდორმა, „იუვენტუსში" აშკარად მოუმატა. მისი მეიმედება, შშვენივრად იცნობს იტალიელებს, აპენინელთა სათამაშო სტილს. იგორი ხორვატიის სავიზიტო ბარათია იტალიაში."

გუშინწინ ხორვატებმა ამხანაგურად ყოფილი მოძმე ბოსნიელები 2:0 რომ დაამარცხეს, ერთი დავორ შუკერმა შეაგდო. შუკერი, იცით, ოთხი წლის წინანდელ მუნდიალზე საუკეთესო მეგოლე გახდა და ტიტულის შენარჩუნებაზე უარს ცხადია, არ იტყვის. აი, რობერტ პროსინეჩკი, შესაძლოა, საერთოდაც ვერ ვიხილოთ კორეა-იაპონიაში. მომეცით ერთი შანსიცო, იხვეწება ვეტერანი. შანსს კი მირკო იოზიჩი რობის თურქებთან მატჩში დაჰპირებია. მოსამზადებელი ციკლის ბოლო შეხვედრას ხორვატები სწორედ თურქეთთან გამართავენ.

| 2 | ბრიუგე (2) | 1:2 | | 1:0 | | 1:3 | 0:1 | 2:4 | 2:0 | 3:2 | 1:0 | 2:1 | : | 4:2 | 3:1 | 3:1 | 4:1 | 3:0 | 6:1 | 31 | 21 | 3 | 7 | 68:35 | 66 | 11 | 0 | 4 | 36:19 | 33 | 10 | 3 | 3 | 32:16 | 33 |
| 3 | ანდერლეხტი ბრიუსელი (1) | 3:3 | 1:0 | | 4:2 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 0:2 | 1:0 | 2:1 | 5:2 | 2:2 | : | 2:0 | 7:1 | 3:0 | 3:1 | | 31 | 16 | 11 | 4 | 64:34 | 59 | 10 | 4 | 1 | 35:14 | 34 | 6 | 7 | 3 | 29:20 | 25 |
| 4 | ექსელსიორ მუსკრონი (7) | 2:4 | 2:0 | 1:1 | | 2:0 | 0:1 | 4:0 | 3:0 | 3:1 | 0:1 | 2:0 | 4:1 | 1:2 | 1:0 | | 5:1 | 6:1 | 3:0 | 31 | 16 | 5 | 10 | 65:35 | 53 | 11 | 1 | 4 | 39:13 | 34 | 5 | 4 | 6 | 26:22 | 19 |
| 5 | სტანდარდი ლიეჟი (3) | 2:0 | 1:1 | 1:0 | 2:1 | | | 0:2 | 1:3 | 3:0 | 6:0 | 1:2 | 2:1 | 2:2 | 2:1 | 2:1 | 4:2 | 2:0 | 4:1 | 31 | 14 | 11 | 6 | 54:35 | 53 | 11 | 2 | 3 | 35:17 | 35 | 3 | 9 | 3 | 19:18 | 18 |
| 6 | გენტი (5) | 0:0 | 2:2 | 2:2 | 1:1 | 2:5 | | 1:1 | 4:2 | 1:1 | : | 2:1 | | 4:1 | 0:0 | 2:3 | 3:3 | 2:2 | 2:1 | 31 | 14 | 10 | 7 | 55:46 | 52 | 4 | 9 | 2 | 28:25 | 21 | 10 | 1 | 5 | 27:21 | 31 |
| 7 | ლოკერენი (4) | 2:2 | 0:1 | | 2:1 | 1:1 | 0:1 | | 0:1 | 3:2 | 1:0 | 2:2 | 4:0 | 2:0 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 31 | 14 | 9 | 8 | 39:29 | 51 | 9 | 4 | 3 | 22:12 | 31 | 5 | 5 | 5 | 17:17 | 20 |
| 8 | სენტ ტრუიდენი (13) | 0:1 | | 0:2 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 1:0 | | 2:2 | 2:1 | 1:0 | 1:2 | 2:0 | 4:3 | 0:2 | 3:1 | 3:1 | 4:2 | 31 | 14 | 4 | 13 | 44:43 | 46 | 8 | 2 | 6 | 25:21 | 26 | 6 | 2 | 7 | 19:22 | 20 |
| 9 | ჟერმინალ ბეერსხოტი ანტვერპენი (6) | 1:1 | 1:2 | 1:1 | 2:2 | : 2:2 | 3:2 | 0:0 | 1:0 | | | 8:2 | 2:2 | 1:1 | 3:0 | 2:0 | 2:0 : | 4:0 | 4:1 | 31 | 9 | 15 | 7 | 59:46 | 42 | 8 | 7 | 1 | 37:16 | 31 | 1 | 8 | 6 | 22:30 | 11 |
| 10 | შარლერუა (9) | 0:3 | 0:4 | 1:1 | 0:2 | 0:0 | 0:3 | 1:0 | 0:3 | 1:0 | | 2:1 | 3:1 | 4:2 | | 3:1 | 5:0 | 2:1 | 1:1 | 31 | 11 | 6 | 14 | 38:53 | 39 | 8 | 3 | 5 | 23:23 | 27 | 3 | 3 | 9 | 15:30 | 12 |
| 11 | ლა ლუვიე (15) | 0:0 | 1:2 | 1:3 | 1:0 | 3:1 | 3:1 | : | 1:0 | 1:1 | 2:1 | | 1:0 | 3:3 | 0:0 | 0:0 | | 1:3 | 3:2 | 31 | 10 | 8 | 13 | 35:51 | 38 | 7 | 5 | 3 | 21:17 | 26 | 3 | 3 | 10 | 14:34 | 12 |
| 12 | მოლენბეკი ბრიუსელი (ღ) | 2:5 | 2:3 | 2:3 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 1:2 | 2:2 | 0:1 | 1:0 | | 0:1 | 0:1 | 1:0 | 2:0 | | 3:0 | 31 | 11 | 4 | 16 | 40:52 | 37 | 6 | 2 | 8 | 20:21 | 20 | 5 | 2 | 8 | 20:31 | 17 |
| 13 | ვესტერლო (8) | | 1:4 | 1:2 | 0:2 | 1:2 | 3:1 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 3:3 | 0:1 | 4:0 | | 6:0 | 5:4 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 31 | 9 | 7 | 15 | 45:54 | 34 | 6 | 2 | 8 | 28:24 | 20 | 3 | 5 | 7 | 17:30 | 14 |
| 14 | ლომელი (ღ) | 1:5 | 0:2 | 2:2 | 3:2 | | 2:4 | 3:4 | 0:1 | : | 5:1 | 3:0 | 1:0 | 3:0 | | 2:2 | 2:2 | 1:1 | 3:1 | 31 | 9 | 7 | 15 | 48:62 | 34 | 6 | 4 | 5 | 31:27 | 22 | 3 | 3 | 10 | 17:35 | 12 |
| 15 | ლიერსი ლიერი (10) | 1:2 | 0:2 | 2:0 | 3:3 | 1:1 | 1:2 | 1:1 | : | 1:1 | 1:2 | 0:1 | 1:2 | | 6:3 | | 2:1 | 3:1 | 3:3 | 31 | 8 | 8 | 15 | 51:60 | 32 | 4 | 5 | 6 | 26:25 | 17 | 4 | 3 | 9 | 25:35 | 15 |
| 16 | ანტვერპენი (12) | 3:0 | 1:2 | 2:2 | 2:1 | 0:0 | 2:3 | 1:1 | 4:1 | | 2:0 | 0:0 | 1:2 | 1:1 | 3:3 | 1:4 | | 2:0 | : | 31 | 6 | 10 | 15 | 41:61 | 28 | 5 | 6 | 4 | 25:20 | 21 | 1 | 4 | 11 | 16:41 | 7 |
| 17 | ეენდრახტ აალსტი (16) | 0:0 | 1:1 | 1:5 | 0:5 | : | 1:3 | 2:1 | | 3:3 | 1:1 | 0:0 | 2:4 | 0:1 | 0:1 | 0:2 | 0:0 | | 0:1 | 31 | 4 | 8 | 19 | 27:66 | 20 | 1 | 6 | 8 | 11:28 | 9 | 3 | 2 | 11 | 16:38 | 11 |
| 18 | ბევერენი (14) | 1:6 | 0:4 | 1:4 | 0:1 | 1:1 | 2:2 | 0:2 | 3:2 | 1:1 | 1:1 | | 1:3 | 1:1 | 0:2 | 1:1 | 2:3 | 0:4 | | 31 | 2 | 8 | 21 | 30:81 | 14 | 1 | 6 | 9 | 15:38 | 9 | 1 | 2 | 12 | 15:43 | 5 |

## რუსეთი. უმაღლესი ლიგა. 2001-02. VIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | შს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.04.02 | 16.00 | 290 | 1:1ანჟი; ცსკა3:3; 2:2ტორპედო **ურალანი** V **როტორი** ალანია2:1; 0:2სპარტაკი; სატურნი1:1 | 1,7 | 3,0 | 4,4 | 1,05 | 1,2 | 1,75 | - | - | 2:0 1:3 | 0:1 1:3 |
| 20.04.02 | 16.00 | 291 | 1:2როტორი; ტორპედო1:1; 0:1ცსკა **ალანია** V **ანჟი** ურალანი1:1; 1:1სატურნი; სპარტაკი3:3 | 1,75 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,7 | - | 2:1 2:3 | 2:3 0:2 | - |
| 20.04.02 | 16.00 | 294 | 1:2შინიკი; კრილია0:0; 0:2ლოკომოტივი **სოკოლი** V **როსტსელმაში** ზილ1:1; 0:5დინამო; ზენიტი1:2 | 1,85 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 | - | 2:1 1:1 | - | - |
| 20.04.02 | 17.00 | 293 | 0:1კრილია; შინიკი1:1; 2:1როსტსელმაში **ზენიტი** V **ლოკომოტივი** დინამო3:0; 2:0ზილ; სოკოლი2:0 | 3,0 | 2,9 | 2,2 | 1,45 | 1,25 | 1,2 | - | 1:5 0:0 | 1:1 1:2 | 1:2 1:1 |
| 20.04.02 | 18.00 | 292 | 3:2ცსკა; ანჟი1:1; 1:1როტორი **სატურნი** V **ტორპედო** სპარტაკი1:2; 1:1ალანია; ურალანი2:2 | 1,8 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 | - | 4:1 0:1 | 0:2 0:1 | 2:2 2:0 |
| 20.04.02 | 18.00 | 295 | 0:3ლოკომოტივი; როსტსელმაში5:0; 1:2შინიკი **დინამო** V **კრილია** ზენიტი1:0; 0:0სოკოლი; ზილ0:0 | 2,0 | 2,9 | 3,4 | 1,15 | 1,25 | 1,55 | - | 0:1 0:3 | 2:0 2:0 | 3:3 2:1 |
| 21.04.02 | 16.00 | 297 | 1:1როსტსელმაში; ლოკომოტივი0:2; 0:0კრილია **ზილ** V **შინიკი** სოკოლი2:1; 1:1ზენიტი; დინამო2:1 | 2,3 | 2,8 | 2,9 | 1,25 | 1,25 | 1,4 | - | - | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 296 | 2:1ტორპედო; როტორი2:0; 3:3ანჟი **სპარტაკი** V **ცსკა** სატურნი2:3; 3:3ურალანი; ალანია1:0 | 2,1 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,5 | - | 1:0 1:1 | 1:0 1:2 | 1:0 4:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი მოსკოვი (2) | | 09.07 | | 2:0 | 13.05 | 27.04 | | | | 3:0 | | 05.07 | | | 2:0 | 1:0 | 7 | 6 | 1 | 0 | 12:1 | 19 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 12 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| 2 | ცსკა მოსკოვი (7) | | | | 2:3 | 28.04 | 01.07 | | 15.07 | 1:0 | | | | 4:0 | | | 1:0 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:7 | 16 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| 3 | სპარტაკი მოსკოვი (1) | 1:2 | : | | | 2:0 | 3:0 | | | 10.07 | | | 04.05 | | 0:0 | 13.05 | | 7 | 4 | 2 | 1 | 13:6 | 14 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| 4 | სატურნი რამენსკოე (6) | | | 08.05 | | | | : | 3:1 | | 09.07 | 1:1 | | 13.05 | 2:0 | | 04.05 | 7 | 4 | 2 | 1 | 13:8 | 14 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| 5 | როტორი ვოლგოგრადი (10) | | | | 1:1 | | 16.07 | 04.05 | 02.07 | | 0:0 | 08.05 | | | | 2:1 | 2:1 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 6 | შინიკი იაროსლავლი (ღ) | | | | 1:3 | | | 13.05 | 04.05 | | 2:1 | 09.07 | | | 08.05 | 2:1 | 2:0 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:10 | 11 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| 7 | ტორპედო მოსკოვი (4) | 16.07 | 08.05 | 1:2 | | | | | | | 2:0 | 27.04 | 2:2 | | 02.07 | 1:0 | | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 9 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| 8 | კრილია სოვეტოვი სამარა (5) | 08.05 | | 0:2 | | | | 09.07 | | 1:0 | | 13.05 | 1:1 | 0:0 | 28.04 | | | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| 9 | ზენიტი სანქტ პეტერბურგი (3) | : | | | 16.07 | 1:0 | 1:1 | 2:2 | | | | | | | | 04.05 | 02.07 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:8 | 8 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| 10 | დინამო მოსკოვი (9) | | 1:2 | 15.07 | | | | | : | 28.04 | | 2:0 | 02.07 | | 5:0 | | | 7 | 2 | 1 | 4 | 9:9 | 7 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| 11 | ანჟი მახაჩკალა (11) | 01.07 | 04.05 | 3:3 | | | | | | 2:0 | | | 1:1 | 0:0 | 16.07 | | | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| 12 | ურალანი ელისტა (ღ) | 0:0 | 3:3 | | 28.04 | : | 1:1 | | | 13.05 | | | | | | 09.07 | | 7 | 0 | 6 | 1 | 8:10 | 6 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 |
| 13 | ტორპედო ზილ მოსკოვი (14) | 0:2 | | 03.07 | | 0:2 | : | 2:1 | | 08.05 | 03.05 | | 17.07 | | | | | 7 | 1 | 3 | 3 | 3:10 | 6 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 | 0 | 3 | 1 | 1:5 | 3 |
| 14 | როსტსელმაში დონის როსტოვი (12) | 04.05 | 13.05 | | | 09.07 | | | | 1:2 | | | 2:0 | 1:1 | | | | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | 5 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | 1 |
| 15 | სოკოლი სარატოვი (8) | | 0:1 | | 02.07 | | | | 0:0 | | 08.05 | 1:0 | | 28.04 | : | | 16.07 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:8 | 4 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:7 | 0 |
| 16 | ალანია ვლადიკავკაზი (13) | | | 28.04 | | | | 1:1 | 1:4 | | 13.05 | : | 08.05 | 09.07 | 2:1 | | | 7 | 1 | 1 | 5 | 5:12 | 4 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:6 | 0 |

## ინგლისი. პირველი დივიზიონი. 2001-02. XXXXVI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.04.02 | 18.00 | 055 | 2:2როტერჰემი; ქრიუ3:1; პორტსმუთი1:1 **ბირმინგემი** V **შეფილდი** უოლსოლი0:1; 3:0უოტფორდი; უიმბლდონი0:1 | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 | 0:4 | 1:0 1:3 | 0:2 2:[illegible] | 2:0 1:0 |
| 21.04.02 | 18.00 | 056 | 1:3გრიმსბი; ჯილინგემი2:0; 1:1პორტსმუთი **ბარნსლი** V **კოვენტრი** მილუოლი0:1; 0:4პრესტონი; ვესტ ბრომვიჩი0:1 | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 | 2:0 | - | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 057 | 2:2ნოტინგემი; 1:3ბირმინგემი; კრ. პალასი0:0 **კრიუ** V **როთერჰემი** ბირმინგემი2:2; 1:1ვესტ ბრომვიჩი; მილუოლი0:0 | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 | 2:2 | - | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 058 | 3:1ჯილინგემი; ბარნსლი5:1; 2:0ვულვზი **სიტი** V **პორტსმუთი** უოტფორდი0:1; 1:1ბირმინგემი; ბარნსლი1:1 | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 | 1:2 | [illegible] | 4:2 2:2 | [illegible] |
| 21.04.02 | 18.00 | 059 | 1:0კოვენტრი; ვულვზი1:0; 0:0როტერჰემი **მილუოლი** V **გრიმსბი** ბარნსლი3:1; 1:1ნორვიჩი; უენსდი0:0 | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 | 2:2 | - | [illegible] | [illegible] |
| 21.04.02 | 18.00 | 060 | 2:0ბარნსლი; გრიმსბი1:1; 1:0ბრედფორდი **ნორვიჩი** V **სტოკპორტი** უენსდი3:1; 0:1უოლსოლი; უოტფორდი2:1 | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1 | 3,55 | 1:2 | 3:1 4:0 | 2:2 2:0 | 2:0 0:2 |
| 21.04.02 | 18.00 | 061 | 0:2კრ. პალასი; კოვენტრი4:0; 1:2ბარნსლი **პრესტონი** V **ნოტინგემი** ქრიუ2:2; 2:0უენსდი; უოლსოლი2:3 | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 | 1:1 | 1:3 1:1 | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 062 | 1:3სტოკპორტი; ნოტინგემი0:2; 0:0გრიმსბი **უენსდი** V **ვულვზი** უიმბლდონი1:0; 0:1მილუოლი; სიტი0:2 | 4,7 | 3,3 | 1,6 | 1,9 | 1,15 | 1,05 | 0:0 | 1:1 0:1 | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 063 | 1:0შეფილდი; სტოკპორტი1:0; 3:2ნოტინგემი **უოლსოლი** V **ბრედფორდი** ვესტ ბრომვიჩი0:1; 2:1უიმბლდონი; ნორვიჩი0:1 | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 | 0:2 | - | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 064 | 1:0პორტსმუთი; შეფილდი0:3; 1:2სტოკპორტი **უოტფორდი** V **ჯილინგემი** სიტი1:3; 0:2ბარნსლი; ქრიუ1:0 | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 | 0:0 | 0:0 3:0 | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 065 | 1:0ბრედფორდი; როტერჰემი1:1; 1:0კოვენტრი **ვესტ ბრომვიჩი** V **კრ. პალასი** პრესტონი2:0; 0:0ქრიუ; ბირმინგემი0:0 | 1,3 | 4,7 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,85 | 1:0 | 1:0 2:2 | 0:0 2:0 | 3:2 1:1 |
| 21.04.02 | 18.00 | 066 | 0:1ვულვზი; ბრედფორდი1:2; ქრიუ2:0 **უიმბლდონი** V **ბარნსლი** ნორვიჩი0:2; 1:5სიტი; პრესტონი2:1 | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 | 1:1 | 1:0 1:1 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერ სიტი (დ) | ■ | 0:0 | : 1:0 | 2:0 | 3:0 | 5:1 | 3:1 | 3:2 | 0:4 | 1:0 | 4:2 | 4:1 | 0:0 | 3:0 | 3:0 | 3:1 | : | 3:0 | 4:0 | 2:1 | 4:0 | 5:2 | 5:1 | 2:2 | 45 | 30 | 6 | 9 | 105:51 | 96 | 18 | 3 | 1 | 60:18 | 57 | 12 | 3 | 8 | 45:33 | 39 |
| 2 | ვესტ ბრომვიჩ ალბიონი (6) | 4:0 | ■ | 1:1 | 0:2 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 0:1 | : | : 1:0 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:0 | 1:0 | 5:0 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 4:1 | 3:1 | 4:0 | 45 | 26 | 8 | 11 | 59:29 | 86 | 14 | 4 | 4 | 34:11 | 46 | 12 | 4 | 7 | 25:18 | 40 |
| 3 | ვულვერჰემპტონ უონდერერსი (12) | 0:2 | 0:1 | ■ | 1:0 | 2:1 | 3:0 | 0:0 | 2:3 | 1:0 | 0:1 | 3:1 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 3:1 | 2:2 | 3:0 | 0:1 | 2:1 | 0:0 | 0:1 | 4:1 | 2:2 | 45 | 25 | 10 | 10 | 74:41 | 85 | 13 | 4 | 6 | 33:18 | 43 | 12 | 6 | 4 | 41:23 | 42 |
| 4 | მილუოლი (დ) | 2:3 | 1:0 | 1:0 | ■ | 1:1 | 0:2 | 4:0 | 2:1 | 0:1 | 3:0 | 3:2 | 1:2 | 2:0 | 1:0 | 3:3 | 3:1 | 1:0 | 2:2 | : | 1:0 | 1:2 | 2:0 | 3:1 | 3:0 | 45 | 21 | 11 | 13 | 66:47 | 74 | 14 | 3 | 5 | 40:21 | 45 | 7 | 8 | 8 | 26:26 | 29 |
| 5 | ბირმინგემ სიტი (5) | 1:2 | 0:1 | 2:2 | 4:0 | ■ | 2:3 | 4:0 | 0:1 | 0:2 | : 1:0 | 2:1 | 2:1 | : | 3:2 | 1:1 | 4:0 | 1:1 | 1:0 | 4:0 | 2:2 | 2:0 | : 3:1 | 1:0 | 2:1 | 45 | 20 | 13 | 12 | 69:50 | 73 | 13 | 4 | 5 | 42:21 | 43 | 7 | 9 | 7 | 27:29 | 30 |
| 6 | ბარნლი (7) | 2:4 | 0:2 | 2:3 | 0:0 | 0:1 | ■ | 1:1 | 2:1 | 3:2 | 1:0 | : | 2:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 5:2 | 1:0 | 3:0 | 1:2 | 3:3 | 3:3 | 3:2 | 45 | 20 | 12 | 13 | 69:62 | 72 | 10 | 7 | 5 | 38:29 | 37 | 10 | 5 | 8 | 31:33 | 35 |
| 7 | ნორვიჩ სიტი (15) | 2:0 | 2:0 | 2:0 | 0:0 | 0:1 | 2:1 | ■ | 3:0 | 2:1 | 2:1 | 2:0 | : 2:1 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 1:4 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 2:1 | : | 45 | 21 | 9 | 15 | 58:51 | 72 | 14 | 6 | 2 | 34:16 | 48 | 7 | 3 | 13 | 24:35 | 24 |
| 8 | პრესტონ ნორთ ენდი (4) | 2:1 | 1:0 | 1:2 | 1:0 | 1:0 | 2:3 | 4:0 | ■ | 1:1 | 2:1 | 4:0 | 0:2 | 3:0 | 1:1 | : | 1:1 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 2:1 | 4:2 | : 2:2 | 2:2 | 6:0 | 45 | 19 | 12 | 14 | 69:58 | 69 | 12 | 7 | 3 | 43:20 | 43 | 7 | 5 | 11 | 26:38 | 26 |
| 9 | უიმბლდონი ლონდონი (8) | 2:1 | 0:1 | 0:1 | 2:2 | 3:1 | 0:0 | 0:1 | 2:0 | ■ | 1:1 | 0:1 | 3:1 | 1:1 | : 0:0 | 1:0 | 1:2 | 3:3 | 2:2 | 2:1 | 1:0 | 1:1 | : 2:0 | : | 3:1 | 45 | 18 | 13 | 14 | 63:56 | 67 | 9 | 8 | 5 | 30:21 | 35 | 9 | 5 | 9 | 33:35 | 32 |
| 10 | კრისტალ პალასი ლონდონი (21) | 2:1 | 0:1 | 0:2 | 1:3 | 0:0 | 1:2 | 3:2 | 2:0 | 4:0 | ■ | 1:3 | 3:1 | 0:1 | 0:2 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 2:0 | 5:0 | 2:0 | 4:1 | 4:1 | 1:0 | 4:1 | 45 | 20 | 6 | 19 | 70:60 | 66 | 13 | 3 | 7 | 42:22 | 42 | 7 | 3 | 12 | 28:38 | 24 |
| 11 | კოვენტრი სიტი (დ) | 4:3 | 0:1 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 0:2 | 2:1 | 2:2 | 3:1 | 2:0 | ■ | 1:2 | 1:0 | 0:2 | 0:0 | 4:0 | 2:0 | 2:1 | 0:1 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 4:0 | 0:0 | 45 | 20 | 6 | 19 | 60:52 | 66 | 12 | 4 | 7 | 33:19 | 40 | 8 | 2 | 12 | 27:33 | 26 |
| 12 | ჯილინგემი (13) | 1:3 | 2:1 | 2:3 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 0:2 | 5:0 | 0:0 | 3:0 | 1:2 | ■ | 0:1 | 0:0 | 3:1 | 0:4 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 1:0 | 3:0 | 3:3 | 45 | 17 | 10 | 18 | 61:65 | 61 | 12 | 5 | 6 | 38:26 | 41 | 5 | 5 | 12 | 23:39 | 20 |
| 13 | შეფილდ იუნაიტედი (10) | 1:3 | 0:3 | 2:2 | : 3:2 | 4:0 | 3:0 | 2:1 | 2:2 | 0:1 | 1:3 | 0:1 | 0:0 | ■ | 0:2 | 0:0 | 2:2 | 4:3 | 0:1 | 3:1 | 2:2 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 3:0 | 45 | 15 | 15 | 15 | 53:52 | 60 | 8 | 8 | 7 | 34:30 | 32 | 7 | 7 | 8 | 19:22 | 28 |
| 14 | უოტფორდი (9) | 1:2 | 1:2 | 1:1 | 1:4 | 3:3 | : 1:2 | 2:1 | 1:1 | 3:0 | 1:0 | 3:0 | : | 0:3 | ■ | 1:2 | 0:0 | 3:0 | 2:1 | 2:0 | 3:2 | 3:1 | 0:1 | 3:0 | 1:1 | 45 | 16 | 11 | 18 | 60:53 | 59 | 10 | 5 | 7 | 36:27 | 35 | 6 | 6 | 11 | 24:26 | 24 |
| 15 | ნოტინგემ ფორესტი (11) | 1:1 | 0:1 | 2:2 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 4:2 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 0:0 | ■ | 1:0 | 0:1 | 2:3 | 0:0 | 2:0 | 0:1 | 2:2 | 0:0 | 2:1 | 45 | 12 | 18 | 15 | 49:49 | 54 | 7 | 11 | 5 | 26:21 | 32 | 5 | 7 | 10 | 23:28 | 22 |
| 16 | ბრედფორდი (დ) | 0:2 | 0:1 | 0:3 | 1:2 | : 1:3 | 2:3 | 0:1 | 0:1 | 3:3 | 1:2 | 2:1 | 5:1 | 1:2 | 4:3 | 2:1 | ■ | 3:1 | 2:0 | 3:2 | 3:1 | 0:2 | 2:0 | 4:0 | 2:4 | 45 | 15 | 9 | 21 | 67:74 | 54 | 10 | 1 | 12 | 41:39 | 31 | 5 | 8 | 9 | 26:35 | 23 |
| 17 | პორტსმუთი (20) | 2:1 | 1:2 | 2:3 | 3:0 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 0:1 | 1:2 | 4:2 | 1:0 | 2:1 | 1:0 | 0:1 | 3:2 | 0:1 | ■ | 1:1 | 4:2 | 0:0 | 0:0 | 2:4 | 4:4 | 2:0 | 45 | 13 | 14 | 18 | 59:69 | 53 | 9 | 6 | 8 | 36:31 | 33 | 4 | 8 | 10 | 23:38 | 20 |
| 18 | უოლსოლი (დ) | 0:0 | 2:1 | 0:3 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 2:0 | 1:2 | 2:1 | 2:2 | 0:1 | 1:1 | 1:2 | 0:3 | 2:0 | : | 0:0 | ■ | 4:0 | 3:2 | 0:3 | 2:1 | 2:1 | 1:0 | 45 | 13 | 11 | 21 | 49:69 | 50 | 10 | 5 | 7 | 27:25 | 35 | 3 | 6 | 14 | 22:44 | 15 |
| 19 | გრიმსბი თაუნი (18) | 0:2 | 0:0 | 1:1 | 2:2 | 3:2 | 3:1 | 0:2 | 2:2 | 6:2 | 5:2 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 0:3 | 0:0 | 0:1 | 3:1 | 2:2 | ■ | 0:2 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 3:1 | 45 | 12 | 14 | 19 | 49:70 | 50 | 9 | 7 | 7 | 34:29 | 34 | 3 | 7 | 12 | 15:41 | 16 |
| 20 | როთერჰემი (დ) | 1:1 | 2:1 | 0:3 | 0:0 | 2:2 | : 1:1 | 1:1 | 1:0 | 3:2 | 2:3 | 0:0 | 3:2 | :1 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:1 | 2:1 | 2:0 | 1:1 | ■ | 1:1 | 2:2 | 1:1 | 3:2 | 45 | 10 | 19 | 16 | 52:64 | 49 | 7 | 13 | 3 | 32:29 | 34 | 3 | 6 | 13 | 20:35 | 15 |
| 21 | შეფილდ უენსდი (17) | 2:6 | 1:1 | : | 1:1 | 0:1 | 0:2 | 0:5 | 1:2 | 1:2 | 1:3 | 2:1 | 0:0 | 0:0 | 2:1 | 0:2 | 1:1 | 2:3 | 2:1 | 0:0 | 1:2 | ■ | 1:0 | 3:1 | 5:0 | 45 | 12 | 13 | 20 | 47:69 | 49 | 6 | 6 | 10 | 26:35 | 24 | 6 | 7 | 10 | 21:34 | 25 |
| 22 | კრიუ ალექსანდრა (14) | : 1:3 | 1:1 | 1:4 | 1:0 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 2:1 | 0:4 | 0:0 | 1:6 | 0:0 | 2:2 | 1:0 | 0:3 | 2:2 | 1:1 | 2:1 | 2:0 | : | 0:2 | ■ | 2:0 | 0:0 | 45 | 11 | 13 | 21 | 45:76 | 46 | 7 | 8 | 7 | 21:32 | 29 | 4 | 5 | 14 | 24:44 | 17 |
| 23 | ბარნსლი (16) | 0:3 | 3:2 | 1:0 | 1:1 | 1:3 | 1:1 | 0:2 | 2:1 | 1:1 | 1:4 | 1:1 | 4:1 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 3:3 | 1:4 | 4:1 | 0:0 | 1:1 | 3:0 | 2:0 | ■ | 2:2 | 45 | 10 | 15 | 20 | 58:86 | 45 | 9 | 9 | 5 | 37:33 | 36 | 1 | 6 | 15 | 21:53 | 9 |
| 24 | სტოკპორტ ქაუნთი (19) | : 2:1 | 1:2 | 1:4 | 0:4 | 0:3 | 0:2 | 2:1 | 0:2 | 1:2 | 0:1 | 0:2 | 0:2 | 1:2 | 2:1 | 1:3 | 1:0 | 0:1 | 0:2 | 3:3 | 0:1 | 3:1 | 0:1 | 1:3 | ■ | 45 | 6 | 8 | 31 | 42:100 | 26 | 5 | 1 | 17 | 19:44 | 16 | 1 | 7 | 14 | 23:56 | 10 |

## დანია. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. XXVIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.04.02 | 18.00 | 285 | 2:2სილკებორგი; ლიუნგბიუ4:0; 0:4კოპენჰაგენი **ოდენსე** V **ესბიერგი** ვიბორგი1:0; 0:0აკადემისკი; ოლბორგი0:1 | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,6 | 0:2 0:2 | - | 0:2 2:0 4:1 | - |
| 21.04.02 | 18.00 | 286 | 3:0ლიუნგბიუ; 1:0მიდტიულანდი; ოდენსე4:0 **კოპენჰაგენი** V **სილკებორგი** ოდენსე2:2; 2:3ვიბორგი; აკადემისკი1:1 | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 | 2:0 1:0 | 0:0 2:2 1:1 | 0:0 1:2 4:1 | 3:3 2:2 2:2 |
| 21.04.02 | 18.00 | 287 | 0:1ესბიერგი; სილკებორგი3:2; 5:1ლიუნგბიუ **ვიბორგი** V **ვაილე** აკადემისკი0:4; 2:2ოლბორგი; ბრონდბიუ1:1 | 1,75 | 3,4 | 3,4 | 1,15 | 1,15 | 1,7 | 1:2 : 2:1 | - | 3:2 2:0 3:0 | 0:4 0:1 1:4 |
| 21.04.02 | 20.35 | 288 | 2:2ორჰუსი; ვაილე2:2; 1:0ესბიერგი **ოლბორგი** V **ბრონდბიუ** მიდტიულანდი1:2; ორჰუსი2:2; 1:1ვაილე | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 | 1:3 0:0 | 1:2 0:2 2:2 | 3:1 3:1 0:1 | 1:0 2:1 0:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრონდბიუ (2) | ■ | 2:0 1:0 | 0:0 | 2:0 | 28.04 | 1:0 | 1:2 | 0:0 2:2 | 4:0 0:1 | 2:1 6:1 | 5:0 2:2 | | 27 | 16 | 7 | 4 | 59:24 | 55 | 8 | 4 | 2 | 28:9 | 28 | 8 | 3 | 2 | 31:15 | 27 |
| 2 | კოპენჰაგენი (1) | | ■ | 3:0 | 1:1 4:0 | 0:2 0:0 | 6:0 | 1:1 | 2:1 2:1 | : | 4:1 | 3:0 0:0 | 1:0 4:1 | 27 | 15 | 8 | 4 | 48:18 | 53 | 9 | 4 | 1 | 31:8 | 31 | 6 | 4 | 3 | 17:10 | 22 |
| 3 | ოლბორგი (5) | 1:3 : | 1:1 | ■ | 1:1 | 0:2 2:1 | 2:1 0:0 | 2:1 28.04 | | 0:2 | 2:2 | 1:4 | 2:1 4:0 | 27 | 14 | 6 | 7 | 45:35 | 48 | 5 | 4 | 4 | 18:19 | 19 | 9 | 2 | 3 | 27:16 | 29 |
| 4 | ოდენსე (7) | 4:3 | 1:1 | 0:2 | ■ | 2:2 2:2 | : | 0:2 2:1 | 0:1 | 3:1 2:1 | 5:1 1:0 | | 4:0 | 27 | 11 | 9 | 7 | 43:39 | 42 | 7 | 3 | 3 | 26:17 | 24 | 4 | 6 | 4 | 17:22 | 18 |
| 5 | აკადემისკი კოპენჰაგენი (10) | 1:3 1:2 | 2:2 | | | ■ | 2:0 0:0 | : 0:1 | 1:2 1:2 | 1:0 | 4:0 | 0:0 : | 3:1 3:0 | 27 | 10 | 11 | 6 | 41:26 | 41 | 5 | 3 | 5 | 19:13 | 18 | 5 | 8 | 1 | 22:13 | 23 |
| 6 | ესბიერგი (დ) | 0:7 0:2 | 2:1 28.04 | 0:1 | 2:0 2:0 | 1:2 | ■ | | 1:0 | | 1:1 0:2 | 4:1 2:0 | 5:0 | 27 | 12 | 5 | 10 | 37:35 | 41 | 7 | 1 | 5 | 20:17 | 22 | 5 | 4 | 5 | 17:18 | 19 |
| 7 | მიდტიულანდი (4) | 1:1 1:3 | 0:0 0:1 | 0:1 | 0:1 | 2:2 | 0:2 1:1 | ■ | 1:1 | 1:0 | 5:0 | 2:0 | 0:0 : | 27 | 10 | 9 | 8 | 33:24 | 39 | 3 | 6 | 5 | 14:13 | 15 | 7 | 3 | 3 | 19:11 | 24 |
| 8 | ვიბორგი (6) | | 0:2 | 2:3 0:1 | 2:2 1:1 | | 0:2 0:1 | 2:1 | ■ | 2:0 3:2 | 1:2 : | 0:0 0:0 | 1:1 | 27 | 8 | 10 | 9 | 34:33 | 34 | 3 | 5 | 6 | 14:18 | 14 | 5 | 5 | 3 | 20:15 | 20 |
| 9 | სილკებორგი სილკებორგი (3) | 1:2 | 0:2 0:1 | 1:2 2:0 | 2:2 | 1:1 1:1 | 3:4 : 0:0 | 0:1 | 1:1 | ■ | | 1:0 | 0:0 28.04 | 27 | 6 | 7 | 14 | 31:38 | 25 | 2 | 6 | 6 | 13:17 | 12 | 4 | 1 | 8 | 18:21 | 13 |
| 10 | ვაილე (დ) | 1:1 | 1:3 | 1:3 4:2 | 28.04 | 1:1 0:4 | | 1:1 0:0 | : 1:2 | 3:0 0:4 | ■ | 0:3 | 2:2 | 27 | 5 | 8 | 14 | 31:62 | 23 | 2 | 5 | 6 | 15:26 | 11 | 3 | 3 | 8 | 16:36 | 12 |
| 11 | ორჰუსი (8) | 1:2 | | 1:3 2:2 | 0:1 1:3 | 1:1 | 1:6 | 0:1 2:3 | 28.04 | 2:2 | 3:0 0:0 | ■ | 7:0 | 27 | 4 | 10 | 13 | 32:45 | 22 | 2 | 4 | 7 | 21:24 | 10 | 2 | 6 | 6 | 11:21 | 12 |
| 12 | ლიუნგბიუ (9) | 1:0 2:2 | 0:3 | 0:7 | 2:2 2:3 | 0:1 | 2:0 | 0:4 | 2:2 1:5 | 0:5 | 2:5 | 1:1 | ■ | 27 | 2 | 8 | 17 | 21:76 | 14 | 2 | 4 | 8 | 15:40 | 10 | 0 | 4 | 9 | 6:36 | 4 |

## იტალია. სერია B. 2001-02. XXXII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.04.02 | 23.45 | 104 | 0:1მესინა; კროტონე2:0; კალიარი0:0 **რეჯინა** V **მოდენა** პალერმო2:0; 0:0ემპოლი; ვიჩენცა0:1 | 1,9 | 2,1 | 5,0 | 1 | 1,35 | 1,45 | 1:3 | - | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 105 | 1:1სიენა; 0:1ნაპოლი; პისტოიეზე3:3 **ბარი** V **ჩიტადელა** სამპდორია1:1; 0:1კალიარი; ანკონა3:1 | 1,75 | 2,7 | 4,7 | 1,05 | 1,25 | 1,7 | 1:0 | - | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 106 | 0:0ტერნანა; ჩიტადელა1:0; 0:0რეჯინა **კალიარი** V **სალერნიტანა** ემპოლი1:0; 1:3ანკონა; ჯენოა0:1 | 2,1 | 2,7 | 3,4 | 1,15 | 1,2 | 1,5 | 0:1 | 1:2 1:1 | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 107 | 2:3ჯენოა; მესინა0:0; 0:2სიენა **კოზენცა** V **ანკონა** ვიჩენცა1:0; სალერნიტანა3:1; 1:3ჩიტადელა | 1,7 | 2,9 | 4,7 | 1,05 | 1,2 | 1,75 | 3:2 | 3:2 1:3 | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 108 | 0:1სალერნიტანა; მოდენა0:0; 1:1კროტონე **ემპოლი** V **ტერნანა** კალიარი0:0; 3:3პისტოიეზე; პალერმო2:0 | 1,7 | 2,7 | 5,3 | 1 | 1,25 | 1,75 | 1:1 | 0:2 0:0 | 1:1 2:1 | - |
| 21.04.02 | 18.00 | 109 | 0:2მოდენა; სიენა0:2; 0:2ტერნანა **პალერმო** V **კომო** პისტოიეზე2:2; 2:1ვიჩენცა; 1:1მესინა | 2,7 | 2,0 | 2,7 | 1,1 | 1,3 | 1,1 | 0:3 | - | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 110 | 2:2კომო; ტერნანა3:3; 3:3ბარი **პისტოიეზე** V **სიენა** ბარი1:1; 2:0პალერმო; კოზენცა2:0 | 2,3 | 2,7 | 3,0 | 1,2 | 1,3 | 1,4 | 0:0 | 0:1 0:1 | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 112 | 0:1ანკონა; კომო1:2; 1:0მოდენა **ვიჩენცა** V **ჯენოა** კოზენცა3:2; 0:0სამპდორია; 1:0სალერნიტანა | 2,1 | 1,8 | 4,7 | 1 | 1,4 | 1,3 | 2:2 | - | 1:1 2:2 | - |
| 22.04.02 | 23.45 | 113 | 2:1კროტონე; ბარი1:0; 2:0სამპდორია **ნაპოლი** V **მესინა** რეჯინა1:0; 0:0კოზენცა; კომო1:1 | 1,45 | 3,3 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,2 | 1:2 | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ემპოლი ფლორენცია (6) | ■ | 0:0 | 0:1 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 5:3 | | | 5:0 | 2:0 | 5:1 | 2:0 | 2:1 | | : | 0:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 31 | 17 | 8 | 6 | 51:25 | 59 | 11 | 3 | 1 | 31:10 | 36 | 6 | 5 | 5 | 20:15 | 23 |
| 2 | მოდენა (დ) | 0:1 | ■ | 3:0 | 3:1 | 4:1 | | 2:0 | 0:1 | 0:0 | | | 2:0 | 1:1 | 3:0 | 1:1 | 2:0 | 4:2 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 31 | 16 | 10 | 5 | 47:18 | 58 | 10 | 4 | 2 | 30:10 | 34 | 6 | 6 | 3 | 17:8 | 24 |
| 3 | კომო (დ) | | 1:0 | ■ | 1:2 | 0:2 | 1:0 | 3:0 | 1:0 | 2:1 | 1:0 | 3:1 | | 2:1 | 1:0 | 2:0 | 2:0 | | 0:1 | 2:2 | 1:1 | 31 | 17 | 7 | 7 | 41:29 | 58 | 11 | 2 | 3 | 23:11 | 35 | 6 | 5 | 4 | 18:18 | 23 |
| 4 | რეჯინა რეჯო კალაბრია (დ) | 1:0 | : | 4:1 | ■ | 3:1 | 2:2 | 1:1 | | | 1:0 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 1:0 | | 3:2 | 2:0 | 31 | 16 | 9 | 6 | 42:27 | 57 | 10 | 5 | 0 | 23:7 | 35 | 6 | 4 | 6 | 19:20 | 22 |
| 5 | ნაპოლი ნეაპოლი (დ) | 0:0 | 1:0 | | | ■ | 1:1 | 3:2 | 0:0 | 2:1 | 1:2 | 1:1 | 1:0 | : | 0:0 | 4:2 | 1:1 | 1:1 | 2:0 | | 0:0 | 31 | 14 | 10 | 7 | 39:31 | 52 | 6 | 8 | 1 | 18:11 | 26 | 8 | 2 | 6 | 21:20 | 26 |
| 6 | სალერნიტანა სალერნო (15) | 1:0 | 1:1 | 1:2 | | 3:1 | ■ | 2:1 | 0:0 | 0:1 | 2:0 | 2:0 | | 1:2 | 1:0 | 2:1 | | 3:2 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 31 | 14 | 8 | 9 | 48:43 | 50 | 10 | 3 | 3 | 22:12 | 33 | 4 | 5 | 6 | 26:31 | 17 |
| 7 | პალერმო (დ) | 1:0 | 2:1 | : | 4:2 | | | ■ | 1:3 | 1:0 | | 2:0 | 0:0 | 1:0 | | 1:1 | 3:0 | 3:1 | 0:2 | 1:0 | 2:0 | 31 | 12 | 8 | 11 | 40:44 | 44 | 10 | 2 | 2 | 22:10 | 32 | 2 | 6 | 9 | 18:34 | 12 |
| 8 | ვიჩენცა (დ) | 1:2 | 0:5 | 1:2 | 1:2 | 2:1 | | | ■ | : | 2:1 | | 1:0 | 2:2 | 0:0 | 3:2 | 1:1 | 2:1 | 2:1 | 1:1 | 4:0 | 31 | 11 | 10 | 10 | 44:43 | 43 | 7 | 4 | 4 | 23:21 | 25 | 4 | 6 | 6 | 21:22 | 18 |
| 9 | ჯენოა გენუა (12) | 3:3 | | 2:1 | 1:1 | 0:2 | 4:0 | | 2:2 | ■ | 1:2 | 1:0 | 2:0 | 3:0 | | 3:2 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 31 | 9 | 13 | 9 | 34:30 | 40 | 6 | 7 | 3 | 26:19 | 25 | 3 | 6 | 6 | 8:11 | 15 |
| 10 | ანკონა (10) | | 0:3 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 3:1 | 3:3 | 1:0 | 1:1 | ■ | 3:2 | | 1:1 | | 2:3 | 3:1 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 1:0 | 31 | 11 | 7 | 13 | 34:42 | 40 | 7 | 5 | 4 | 22:19 | 26 | 4 | 2 | 9 | 12:23 | 14 |
| 11 | სამპდორია გენუა (5) | 0:2 | 1:1 | | 0:0 | 0:2 | 2:1 | 1:2 | 2:1 | 0:0 | 0:3 | ■ | 3:0 | | 3:3 | 1:1 | 4:2 | 2:1 | | 2:0 | | 31 | 9 | 11 | 11 | 37:39 | 38 | 6 | 5 | 4 | 21:19 | 23 | 3 | 6 | 7 | 16:20 | 15 |
| 12 | ბარი (დ) | 2:2 | 1:2 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 2:2 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | ■ | | 0:0 | | | : | 1:0 | 3:3 | 0:2 | 31 | 9 | 11 | 11 | 31:40 | 38 | 6 | 6 | 3 | 20:17 | 24 | 3 | 5 | 8 | 11:23 | 14 |
| 13 | მესინა (დ) | 1:0 | | 1:1 | 1:0 | 2:1 | 1:3 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:2 | ■ | 0:2 | 3:1 | 1:1 | | 1:2 | | 4:0 | 31 | 8 | 13 | 10 | 31:33 | 37 | 6 | 6 | 4 | 20:15 | 24 | 2 | 7 | 6 | 11:18 | 13 |
| 14 | კალიარი (11) | 1:3 | 0:0 | | 0:0 | 1:1 | : | 0:0 4:0 | | 2:1 | 2:0 | 0:2 | 1:2 | 0:0 | ■ | | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 2:1 | 31 | 7 | 14 | 10 | 28:30 | 35 | 5 | 8 | 3 | 18:14 | 23 | 2 | 6 | 7 | 10:16 | 12 |
| 15 | კოზენცა (8) | 0:3 | 0:1 | 1:4 | 0:1 | | 2:3 | | 2:1 | 2:1 | : | 0:0 | 2:1 | 0:0 | 1:0 | ■ | 2:2 | 2:1 | 2:1 | 1:2 | | 31 | 9 | 7 | 15 | 36:50 | 34 | 6 | 3 | 6 | 17:21 | 21 | 3 | 4 | 9 | 19:29 | 13 |
| 16 | ტერნანა ტერნი (7) | 1:1 | 0:0 | 0:0 | | 1:2 | 0:2 | 2:0 | 3:1 | 0:0 | 0:1 | | 1:1 | 2:2 | 0:0 | 2:2 | ■ | | 3:0 | 0:1 | 3:2 | 31 | 6 | 15 | 10 | 37:42 | 33 | 4 | 8 | 4 | 18:15 | 20 | 2 | 7 | 6 | 19:27 | 13 |
| 17 | ჩიტადელა პადოვა (14) | 2:1 | | 2:1 | 0:2 | 1:2 | 4:4 | 2:2 | 2:2 | 0:0 | 3:1 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 0:2 | 2:0 | 2:2 | ■ | | | 3:2 | 31 | 8 | 9 | 14 | 38:46 | 33 | 5 | 6 | 5 | 24:24 | 21 | 3 | 3 | 9 | 14:22 | 12 |
| 18 | სიენა (13) | | 0:1 | 0:1 | 2:2 | | 2:1 | 1:1 | 2:4 | 0:1 | 0:0 | 0:4 | 1:1 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 0:3 | 0:1 | ■ | 0:0 | | 31 | 8 | 9 | 14 | 26:39 | 33 | 4 | 5 | 7 | 12:20 | 17 | 4 | 4 | 7 | 14:19 | 16 |
| 19 | პისტოიეზე პისტოია (16) | 0:1 | 0:0 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 1:2 | 0:2 | 1:1 | 0:1 | | 0:2 | 1:0 | 2:1 | | 0:1 | 3:3 | 1:0 | : | ■ | | 31 | 6 | 11 | 14 | 30:41 | 29 | 3 | 4 | 8 | 11:18 | 13 | 3 | 7 | 6 | 19:23 | 16 |
| 20 | კროტონე (9) | 1:1 | 1:2 | 1:1 | 1:2 | 1:2 | 3:3 | 1:1 | 3:4 | | 2:0 | 1:1 | 2:2 | | 4:2 | 0:2 | | 1:2 | 1:2 | 1:2 | ■ | 31 | 3 | 10 | 18 | 33:55 | 19 | 2 | 6 | 8 | 24:29 | 12 | 1 | 4 | 10 | 9:26 | 7 |



დავით გვარამაძე



დავით ხმელიძე



გიორგი ლომაია

# კარი ღიაა, მობრძანდით!

## ეროვნულის განდაგანა

…მიიღო რებროვმა ბურთი, ფეხზე მოირგო და არცთუ ძლიერად დაარტყა. ცნობილი ჰოლანდიელი რონალდ კუმანი ასეთი სიძლიერისას საშუალო მანძილზე პასს აკეთებდა. რა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნული გუნდის მეკარემ უკრაინელის დარტყმული ვერ დაიმორჩილა და ახლო კუთხეში გოლიც გავიდა. დავით გვარამაძე თამაშის მსვლელობისას კიდევ რამდენჯერმე შეცდა, მაგრამ საბედისწეროდ უკანასკნელ წუთზე, როცა მასპინძელთა მიერ ჯარიმიდან ჩაკიდულ ბურთზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ კარის ხაზზე გაყინული, განწირული თვალებით უყურებდა, როგორ ირხეოდა მისი კარის ბადე.

სისულელეა წაგება მხოლოდ გვარამაძეს დავაბრალოთ. იმარჯვებს და მარცხდება გუნდი. მთელმა საქართველომ (ალბათ, მსოფლიომაც) გაიგო, საშუალო დონის მეკარეც რომ არ მოგვეძევება და ნაკრების თავკაცები თითქმის არაფერს აკეთებენ პრობლემის გადასაჭრელად. ჩემი აზრით, ეს არის თავში საცემი და საგანგაშო, თორემ ჩივაძისეული ნაკრები ოდესღაც რომ წააგებდა, დღესავით ნათელი იყო.

დავით გვარამაძემ ფაქტობრივად ჩააგდო სამხრეთ აფრიკასთან თბილისური მატჩიც. ყველა საფეხბურთო კანონით და წინა მატჩების ანალიზიდან გამომდინარეც უკრაინასთან კარში მისი დუბლიორი გია ჭანტურია უნდა მდგარიყო, მაგრამ… ჩავხედოთ სიმართლეს თვალებში, ეროვნული გუნდის თავკაცობა ბოლომდე არ ენდობა ჭანტურიას და ბათუმელსაც მაშინ ვიხილავთ კარში, როცა გვარამაძე ან ტრავმას მიიღებს, ანაც ნაკრები მეტოქეს სამ გოლზე მეტს გაუტანს და ერთზე მეტს არ გაუშვებს.

მწვრთნელებს რომ ჰკითხოთ, რა ქნან, რიგიანი მეკარე არ არის საქართველოში. თუ ასე გააგრძელებენ და შანსს არავის აღირსებენ, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენში მარტო ერთი მეკარე იქნება.

უპრიანია, ვიკითხოთ, სად არიან გიორგი ლომაია და დავით ხმელიძე? არა, ჩვენ კი ვიცით სადაც არიან, მაგრამ ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებს დავიწყებიათ.

ლომაია მშიშარაა, ხმელიძეს თურმე გრძელი ენა აქვს — მიზეზიც პირზე აკერიათ ჩვენს მწვრთნელებს. ლომაიას გამოუცდელობაზე შეიძლება კიდევ დაიჩივლო (ნაკრებში თამაში ხომ სულ ორჯერ აღირსეს), მაგრამ შიშზე ზედმეტია ლაპარაკი. ხმელიძეს გრძელი ენა თუ აქვს, ხელებიც არა აქვს მოკლე და ვინძლო სამხრეთაფრიკელთაგან გოლიც არ გაეშვა. ხმელიძე თავისი კლუბის ძირითადში არ თამაშობს — მართლაც ხელჩასაჭიდი მიზეზია, მაგრამ ლომაიას რა ეტყობა უთამაშებლობის? უპრიანი ისიც იქნება, ვიკითხოთ — სად თამაშობს გვარამაძე? „დინამოს" ფარმ-კლუბში და იქ კარში ჩადგომის უფლება თავად ჩივაძემ გამოსთხოვა აღმასკომს.

მე არ ვადანაშაულებ გვარამაძეს არც ერთ გაშვებულ გოლში (განა მარტო უკრაინასთან ამხანაგურს ვგულისხმობ), არამედ, ნაკრების თავკაცებს ვეკითხები (ყოფილსაც და მოქმედსაც) — რა უნდა ეროვნული გუნდის კარში ისეთ გოლკიპერს, რომელსაც წლების მანძილზე არ ჰქონია მყარი საკლუბო კარიერა.

დავით გვარამაძე კარგი მონაცემების მეკარეა და, ალბათ, ითამაშებს კიდეც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისეთ კლუბს (საშუალო დონისას) იპოვის, სადაც ენდობიან, ისევე როგორც ნაკრებში. არადა, თუ ასე გააგრძელა ჩივაძემ და კომპანიამ, შესარჩევ ეტაპზე კრახი გარდუვალია.

მეკარის თემა ამით ამოწურულად ჩავთვალოთ და სხვა რამეზეც ვთქვათ. თავიდანვე ავღნიშნეთ, რომ ამხანაგურ მატჩში დამარცხება სულაც არ ნიშნავს დასასრულს. მთავარია, ვისთან და როგორ წააგებ.

მეოთხედ დაუპირისპირდა უკრაინას საქართველო და ხახოლებს გუშინწინდელსავით სუსტად ადრე არ უთამაშიათ. აკი გააუმჯობესა კიდეც ჩივაძემ წინამორბედების მიღწევები. უკრაინას სტუმრად გოლი გავუტანეთ, ეს მანამდე, ორჯერ თბილისში და ერთხელაც კიევში, ვერ მოგვეხერხებინა.

საერთოდ ერთი რამ დადასტურდა — ჩივაძის გუნდი შეტევაზე მეტს ფიქრობს და გოლიც მეტი გააქვს, მაგრამ ხომ უმჯობესი იქნებოდა, ფეხბურთელებს კარში ხანდახან მაინც დაერტყათ და წინ პასიც გაეკეთებინათ. ათი წელიწადია, ერთი და იგივეს შევცქერით, დარბიან ჩვენებურები გვერდით ხაზებს შორის და ბურთსაც განივი გადაცემებით დაათრევენ. წინ თუ პასი გაკეთდა, რა თქმა უნდა, შემტევს თითქმის მუდამ მცველი ან მეკარე ასწრებს.

ალბათ, არც ერთი ნაკრები ამქვეყნად ასე იოლად არ შეელევა სიძნელით მოპოვებულ ბურთს და როგორმე მეტოქის საჯარიმომდე მაინც ჩაიტანს, ანაც მოიგერიებს. [illegible] ქართველებს (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) მოედნის შუახაზამდე მიღწევაც უჭირდათ.

მესამე [illegible] ნაკრებმა ჩივაძის ხელში. ლუქსემბურგში 3:0 მოგებული თამაში ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ რუმინული და უკრაინული დაპირისპირება ერთნაირი ტაქტიკით ჩაატარა ეროვნულმა გუნდმა. ცხადია, ტაქტიკა მწვრთნელის ასარჩევია, მაგრამ ცოტა მეტი მრავალფეროვნება საქმეს წაადგებოდა, მით უფრო, რომ პირველი მატჩი შვეიცარიასთან სტუმრად გვაქვს. ქართველები თუ სწავლობენ მეტოქეებს, მოწინააღმდეგენი სულ მისხალ-მისხალ გაარჩევენ ჩვენებურთა სუსტ და ძლიერ მხარეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ირლანდია და შვეიცარია გამოიდებენ თავს. სწორედ ამიტომაც არის თამაშის მსვლელობისას ტაქტიკის ცვლა სასურველი.

ჩივაძეს სრული უფლება აქვს, თავი მოიწონოს და განაცხადოს, შეცვლები გამოვიცანიო. მიუხედავად მატჩის მიწურულს დაცვაში დაშვებული შეცდომებისა, ბურდულის ჯადო-გოლმა ბევრი გადაწონა. ამისულაშვილი რომ ნაკრებს გაეჩვია, ესეც მწვრთნელის დამსახურებად მივიჩნიოთ, მაგრამ რატომ ერიდება ჩივაძე მსგავს ექსპერიმენტებს მეკარის შერჩევისას, გაუგებარია.

ჩვენი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების კარგად მოგვეხსენება, თუმც არც ბურიაკის უკრაინა უქნია ღმერთს. მასპინძლებმაც გვარიანი შეცდომები დაუშვეს, მაგრამ ვინ იყო გამომყენებელი?!

ამხანაგურ თამაშში დამარცხება რა სატირალია, მთავარია, საქართველომ სექტემბრიდან ივარგოს, მაგრამ ხარვეზებს რომ აღმოფხვრიან, იმის იმედიც რომ აღარ დარჩა?!

**ვამუკა კვანტალიანი**



გიორგი შაშიაშვილი და ანდრეი შევჩენკო



კიევში ლადო ბურდული ლამაზი გოლით გამოირჩა

# გოლი-კატაბალახა, გოლი-პრეტენზია

სუპერგოლი, რომელიც ლადო ბურდულმა გაუტანა ვიტალი რევას ჩვენთვის ახლა კატაბალახას წვეთებად უფრო გამოდგება — საქართველოს ნაკრებმა უკრაინაში ხომ მაინც წააგო.

მაგრამ თვით ბურდულისთვის ეს უცნაური და მეკარისთვის აულებელი ტრაექტორიით ცხრიანში გასროლილი ბურთი განსაკუთრებულად ფასობს — ლადომ თავისი პირველი გოლი გაიტანა ეროვნულ ნაკრებში.

**— რატომღაც ზოგს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ იმ მომენტში ჩაწოდებას აპირებდი, მაგრამ გოლი გამოცხვა…**

— არა, კარის გასწვრივ არავინ ჩანდა და რატომ ჩავაწოდებდი? გიორგი დემეტრაძეც ჩემს უკან იყო. მე კარში დავარტყი, თუმც იმას კი მართლა ვერ დავიჩემებ, ჩაფიქრებული მქონდა, სწორედ ასეთნაირად, ზუსტად უკიდურეს კუთხეში გამეხვია ბურთი ბადეში-მეთქი.

ამ გოლით გამოწვეული შთაბეჭდილება მაგარია, მაგრამ მატჩი რომ ფრედ დამთავრებულიყო, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა.

**— საერთოდ მატჩზე რას იტყვი?**

— თამაშის ხარისხი მაღალი არ იყო, მეორე ტაიმი კი გაცილებით უკეთ ჩავატარეთ. მსაჯმა წნეხის ქვეშ მოგვაქცია, მოედნის ცენტრში კი აჯარიმებდა მეტოქეს, მაგრამ უკრაინელთა კარის სიახლოვეს არა. თანაც შეხვედრას ნაჩვენებ სამ წუთზე უფრო მეტი, კიდევ სამი წუთი დაამატა.

**— წაგების მთავარი მიზეზი რა იყო?**

— შეიძლება ითქვას, რომ მსაჯობა.

**— ჩივაძემ რა გითხრათ ნამატჩევს?**

— თამაშის ბოლო წუთებში უნდა გაგვეძლოთო. ერთი სიტყვით, რაც უნდა მსაჯს დავაბრალოთ წაგება, მარცხი მაინც ჩვენი ბრალი იყო — მეორე გაშვებულ გოლზე ხომ კაცი ზონაში გაგვეპარა, ვერ ამოვკეტეთ.

**— გატანილი გოლით კი შენ, ალბათ, უფრო მეტი პრეტენზია გაგიჩნდება — შეცვლაზე თამაშს ველარ შეეგუები და სასტარტოში მოითხოვ ადგილს…**

— მთავარია, კარგ ფორმაში იყო. ალექსანდრე ჩივაძე ისეთი მწვრთნელია, რომ ვინც უკეთეს ფორმაშია, იმას ათამაშებს. ძირითადში თამაშის პრეტენზია როგორ არა მაქვს. ვეცდები, ძალიან მოვუმატო და ნაკრების სასტარტოში თამაში დავიმსახურო.

**— ივო შუშაკმა ამას წინათ თქვა, ლადო ბურდული ერთ წელიწადში ევროპული დონის ფეხბურთელი იქნებაო. შენ რას აპირებ, ამ ერთ წელსაც მოიცდი და მერე იფიქრებ უცხოეთში სათამაშოდ წასვლაზე?**

— კონტრაქტით „დინამოში" კიდევ ერთი წელი უნდა ვითამაშო, მაგრამ თუ შემოთავაზება იქნება და კლუბები ერთმანეთში მოილაპარაკებენ, წავალ. „დინამოში" თამაში ძალიან კარგია, მაგრამ უცხოეთში უკეთესია.

**დავით თავართქილაძე**



კახა ცხადაძე და ზაურ სვანაძე

# რკინიგზაში ფული დარიგდა...

## ხასიათის ცვალებადობა ლოკომოტივში

**თბილისის** „ლოკომოტივი" და ეროვნული გათამაშების ჩემპიონობა დღეისთვის მეტად შორს არიან ერთმანეთისგან. „ტორპედოსთან" საშინაო და „დინამოსთან" საგარეო ფეხის დაცდენამ დასახული მიზანი წლეულსაც უტოპიად აქცია. ბევრისთვის ნათელი იყო, რაც ამას მოჰყვებოდა. კახა ცხადაძისა და რკინიგზელთა გზები გაიყარა.

მეხუთე დღეა, „ლოკომოტივს" დუეტი ავარჯიშებს — სერგო კოტრიკაძე და გია ჯიშკარიანი თანაბრად ინაწილებენ ვალდებულებებს. აქვეა მესამე მწვრთნელი თემურ ჩხაიძე, რომელიც თავისებურად ეხმარება და უადვილებს ტვირთს კოტრიკაძესა და ჯიშკარიანს.

რამდენიმე დღეა, „ლოკომოტივის" ბაზაზე ზაურ სვანაძე არ გამოჩენილა. კლუბის თავკაცები ამტკიცებენ, რომ ცხადაძის თანაშემწე არავის დაუთხოვია, თუმც რატომღაც მთავარი მწვრთნელის წასვლის შემდეგ არც სვანაძე ყოფილა გუნდთან.

...ხელფასების დღეა და თითქოს ფეხბურთელებიც ზედმეტად ხალისიანები უნდა ჩანდნენ, მაგრამ შინაგანი დაძაბულობა ეტყობათ. წვრთნაც რატომღაც მძიმედ იწყება. ფეხბურთელები უსიტყვოდ, თავჩაქინდრულები ისმენენ სავარჯიშო განრიგს. და იწყება...

დავით სირაძე ახალგაზრდულ ნაკრებში იყო და, ცხადია, ვერ ვარჯიშობს. წვრთნას სადისციპლინო კოლეგიისგან შერისხული გელა ქორიძეც დააკლდა. მართალია, ერთი თამაშით დასაჯეს, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ფეხი აწუხებს.

დანარჩენები კი ჯანზე არიან და ვარჯიშიც გახურდა. ყურადღების ცენტრში რკინიგზელთა ახალწვეული ზაზა ჯანაშიაა. კარგად რომ დააკვირდები, თითქოს ზედმეტი წონა არ აწუხებს. მაქსიმუმ ორი კილოგრამი, კვერს დაგიკრავთ „ლოკომოტივის" ტექნიკური პერსონალი. ზედმეტი ორი კილოგრამის პრობლემა კი დღეს სასაცილოდ არავის ეყოფა.

ზაზა ძველებურად ორივე ფეხით უბრახუნებს, ტრადიციულად კარგად თამაშობს თავით და თითქმის მუდამ გამარჯვებულია ორთაბრძოლებში. მასთან „ჭიდაობა" განსაკუთრებით ახალბედა რკინიგზელებს უჭირთ, ფიზიკურად ძალიან ძლიერი ეჩვენებათ „ახალი მეგობარი".

„რა დრო დადგა, ხალხო, ზაზა ჯანაშია „ლოკომოტივის" ბაზაზე წიდისაფრიან გაოხრებულ მოედანზე ვარჯიშობს" — გაკვირვება არ დაუფარავს ერთ-ერთ მოსეირეს.

„ეტყობა, სხვა გზა აღარ ჰქონდა, ძალიან გაუჭირდა, თორემ ეგ საქართველოში დამბრუნებელი არ იყო" — გადაჭრით დაასკვნა მეორემ.

თითქმის ორწელიწადიან უმოქმედობას გვარიანი დაღი დაუსვამს 26 წლის ფორვარდისთვის. ეს ორკარას თამაშისასაც შეიმჩნევა, სადაც ჯანაშია ძალიან ინდომებს.

...ის ძალიან შინაურულად გრძნობს თავს. ერთ-ერთი მწვრთნელი გია ჯიშკარიანი ყოფილი თანაგუნდელია, მოედანზეც ხომ ძველ ნაცნობთან კახა გოგიჩაიშვილთან უნდა ითამაშოს.

ნელ-ნელა ეშხში შედის „ლოკომოტივი"... თავდასხმაში უკვე საკმარისზე მეტი კონკურენციაა და კაიდარაშვილი, დავითაშვილი და დათვაძე გაორკეცებული ენერგიით ვარჯიშობენ.

მთავრდება ვარჯიში, ფეხბურთელები საშხაპისკენ მიეშურებიან. გზადაგზა მოლოდინეებსაც ისტუმრებენ. მხოლოდ ჯანაშია ვერ აღწევს საშხაპემდე — ძალიან ბევრია მთხოვნელი და გაჭირვებული. ზაზაც მანქანაში ჯდება და ბაზიდან მიდის.

გუნდში ბევრს ენანება ყოფილი თავკაცი. ცხადაძეს დღესაც მხარდამჭერებიც ჰყავს „ლოკომოტივში" და მოწინააღმდეგენიც. ისე, ძალიან ახლოს კია ფეხბურთელებთან, იქვე კედელს მიღმა „დინამოს" ბაზაზე ვარჯიშობსხოლმე.

შხაპის შემდეგ კი უკლებლივ ყველა კარგ ხასიათზეა — რკინიგზის დეპარტამენტისკენ „კოლონა" დაიძრა. „ლოკომოტივში" ხელფასების დღეა.

**ბამუკა ძვანტალიანი**


**იყიდება**

**გაზ–2107 თეთრი ფერის, 1990 წელს გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში.**

ტელ: 39-48-29 (11.00 19.00); 69-89-56 (საღამოს)

კახა




# მისიონერი აზერბაიჯანიდან

## გიორგი კილასონია ბაქოში ქართველებისთვის გააფრთხილებს



გიორგი კილასონია საქართველოს ჩემპიონატს დაუბრუნდა. ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი და ერთ დროს ბულგარეთისთვის ძელის შემზანზარებელი უმცროსი კილასონია სეზონის წინ აზერბაიჯანულ „ნეფთჩიში" გადაბარგდა. სამეზობლოში გიორგიმ უეფას თასზე ითამაშა, კლუბის გამოცვლაც მოახერხა და მინი-ფეხბურთშიც მოსინჯა ძალა, სადაც „ვილიაშთან" ერთად მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალიც გამოიყოლა სამშობლოში.

კილასონიამ მართლაც სულზე მოუსწრო მშობლიურ „გორდას". დილით მატარებლით ჩამოსული, შუადღეს ბოლნისში იყო და გამარჯვების გემოდაკარგულ რუსთაველებს უშუალო კონკურენტი დაამარცხებინა.

თავად თვლის, რომ ასაკმა კვალი დაატყო მის თამაშს, მაგრამ ბოლნისური მატჩის მნახველი ვერაფრით გაიზიარებდა მის მოსაზრებას. მისნაირი ფეხბურთელები აკლია ჩვენს ჩემპიონატს, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ყოველთვის ჟინიანი და შეუპოვარია მოედანზე. ბოლოს და ბოლოს, გიორგი კილასონია ის ფეხბურთელია, ერთი პასით რომ შეუძლია მატჩის მოგება.

**— ერთი წლის წინ ბევრისთვის მოულოდნელი იყო შენი აზერბაიჯანში დაბრუნება...**

— სეზონისთვის „გორდაში" ვემზადებოდი, ბაკურიანში ვიყავით შეკრებაზე. სწორედ იქ დამიკავშირდნენ ბაქოდან. „თურანში" რომ ვთამაშობდი, გუნდის პრეზიდენტი ამავდროულად „ნეფთჩის" ვიცე-პრეზიდენტიც იყო და იცოდა ჩემი შესაძლებლობები. თანაც ისე მოხდა, რომ „ნეფთჩიმ" მწვრთნელად ტუაევი მიიწვია, რომელიც მანამე თაუზის „თურანში" მუშაობდა. სწორედ ტუაევის რეკომენდაციით მიხმეს. მისაღები პირობები შემომთავაზეს, თანაც გუნდს უეფას თასზე უნდა ეთამაშა და გადავწყვიტე აზერბაიჯანელთა წინადადებას დავთანხმებოდი.

**— „ნეფთჩიში" სიხარულით კი მიგიღეს, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად გიწევდა თამაში, ბოლოს სულაც სათადარიგო იყავი. შენი და ტუაევის ორწლიანი ურთიერთობის ფონზე მართლაც მოულოდნელი იყო ყოველივე...**

— თავიდან მართლაც ნორმალურად იყო ყველაფერი, უეფას თასზე სლოვენიურ „გორიცასთან" ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე. ის მატჩი უგოლოდ დასრულდა. მიუხედავად ამისა, გარკვეული შანსი გვქონდა საპასუხო შეხვედრაში, მაგრამ ტუაევმა 85-ე წუთზე შემიყვანა მოედანზე, როდესაც 1:0 გახდა ანგარიში. არადა, შეგვეძლო „გორიცას" გაგდება. ჩემსა და მწვრთნელს შორის უთანხმოება უკვე დაწყებული იყო. სათქმელს არასდროს ვიტოვებ. სლოვენიური მატჩის წინ კი მწვრთნელმა უცნაური წინადადება შემომთავაზა. „ნეფთჩიში" ჩემს პოზიციაზე აზერბაიჯანის ნაკრების წევრი მუსაევი თამაშობდა, ტუაევმა ორივეს გვიხმო და გვითხრა, თითო ტაიმს გათამაშებთო. მუსაევს რომ თამაში წასვლოდა, რატომ უნდა შეეცვალათ? ან პირიქით, მე რომ დამეწყო ძირითადში და თამაშს მოვრგებოდი, შეცდომა არ იქნებოდა ჩემი შეცვლა? ეს რომ ტუაევს ვუთხარი, განრისხდა, არ უყვარს მის მოსაზრებას რომ არ იზიარებენ და ამიტომაც ამითვალწუნა. კონფლიქტი მოგვიანებით, ფინანსურ დავალიანებასთან დაკავშირებულ გუნდის საერთო კრების მერე უფრო გამწვავდა. მაშინაც პირდაპირ ვთქვი, რასაც ვფიქრობდი და ტუაევმა კიდევ ერთხელ დამიძახა და მითხრა, სხვა კლუბი მოძებნეო.

**— ვიცი, რომ მაშინ აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდი გეპატიჟებოდა, მაგრამ მინი-ფეხბურთში გადასვლა არჩიე...**

— ოჯახის პატრონი ვარ და ამ შემთხვევაშიც უკეთეს მატერიალურ პირობებს დავთანხმდი. აზერბაიჯანში ძალიან პოპულარულია მინი-ფეხბურთი. მატჩებს ბევრი მაყურებელი ესწრება და კლუბებიც ნორმალურ პირობებში არიან. „ვილიაშმა" ჩემი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, თანაც ბაქოს გუნდია და საცხოვრებელი ადგილის შეცვლაც არ დამჭირვებია. ჩემპიონატის ბოლომდე შვიდი ტური იყო დარჩენილი და ექვსი მატჩი მოვიგეთ, ბოლოს ფრეც გვაძლევდა ხელს, მაგრამ დავმარცხდით და მესამე ადგილზე გავედით, სხვათა შორის, იმ მატჩში ერთობ კურიოზულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ბურთი დავკარგე და საკუთარ თავზე გაბრაზებულმა ერთი-ორი „ტკბილი" სიტყვა ხმამაღლა ვთქვი. ქართულის არმცოდნე აზერბაიჯანელმა მსაჯმა ყვითელი ბარათი დამიძრო, უეჭველად შეიგინებდიო.

**— ქართველ ფეხბურთელთა დიდ ნაწილს ლეგიონერობის სურვილი ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, მაგრამ მეზობელი აზერბაიჯანის პირველობას ბევრი არ სწყალობს, ეს მარტო დაბალი დონით არ უნდა იყოს გამოწვეული, რადგან ამ მხრივ ჩვენც ვერ გავაკვირვებთ ბევრს...**

— აზერბაიჯანელები ვარსკვლავებს რომ არ წყვეტენ, ცხადია და იქაური ჩემპიონატიც სკანდალებითაა ცნობილი, იქ ურჩევნიათ ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკმაყოფილდნენ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩასულს გამორჩეული პირობები უნდა შეუქმნან და, შესაბამისად, მისგანაც ერთიორად მეტს ითხოვენ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ქართველი თამაშობს აზერბაიჯანში. სიტყვამ მოიტანა და თემურ ჩლაიძე უნდა ვახსენო. „ხაზარის" მეკარეს მართლაც ჩინებული სეზონი ჰქონდა და მისით ყველა კმაყოფილია. ემადლიერებიან კახა ძებისაშვილსაც, რომელიც ჯერჯერობით მინი-ფეხბურთითაა დაკავებული, მაგრამ აზერბაიჯანული საზომით სოლიდური წინადადებები აქვს.

**— რუსთავში დაბრუნებამდე „თურანშიც" მოასწარი დაბრუნება...**

— შესაძლოა, ახლაც იქ ვყოფილიყავი, თურქი მწვრთნელი რომ არ წასულიყო და გუნდი არ დაშლილიყო. ეს კაცი თაუზისთივს მართლაც კარგ საქმეს აკეთებდა, ჩინებული სპეციალისტიც ეთქმის, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე მუშაობა ირჩია. გუნდიც უმოტივაციოდ დარჩა, რაკილა ექვსეულისთვის ბრძოლას ჩამოვშორდით და ფეხბურთელებიც მწვრთნელის გზას დაადგნენ.

**— შენი „გორდაში" დაბრუნება მატერიალური თვალსაზრისით უთუოდ არ არის მომგებიანი...**

— ასეთ დროს ამ ფაქტორზე ვერ ვიფიქრებ, უფლებაც არ მაქვს. გული მიკვდებოდა, „გორდას" ამბებს რომ ვგებულობდი ბაქოში და გარკვეულწილად საკუთარ თავსაც ვადანაშაულებდი. „გორდა" არ უნდა გავარდეს უმაღლესი ლიგიდან და ჩემი უმთავრესი საზრუნავიც დღესდღეობით ეს არის. დარჩენილ მატჩებში დიდი ბრძოლები გველის, მაგრამ თავი არ უნდა დავზოგოთ, რუსთავს ფეხბურთი რომ შევუნარჩუნოთ.

**— ერთი წლის წინანდელ და დღევანდელ „გორდას" შორის რა სხვაობაა?**

— გუნდში ახლაც იგივე ბიჭები არიან, არ ვიცი, როგორ მოემზადნენ ჩემპიონატისთვის, რა ხდებოდა ამ ხნის მანძილზე. ფაქტი ერთია, გუნდს ცუდი შედეგები აქვს და გული მწყდება. ამავე დროს დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. რადგან დამიძახეს, ესე იგი, ჩემი იმედი აქვთ და მეც უნდა გავუმართლო კლუბის მესვეურებს. იმედი მაქვს სეზონის უმთავრეს მისიას შევასრულებ. ამის მერე ვიფიქრებ მომავალზე, საპენსიო ასაკამდე ჯერაც ადრეა.

**ბაატა ძვანტალიანი**



გიორგი კილასონიას დაჭერა ისევ ქართველებს მოუწევთ

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნიუ ალმოსავლეთი

## მილუოკია თუ გრანდ ოტელის შვეიცარი...





ტორონტოელთაგან განსხვავებით მილუოკელმა ერვინ ჯონსონმა ვერ გაიხარა

**17 აპრილი**

### ორლანდო 89:103 მაიამი

**ორლანდო:** ჰადსონი (22), ბაჩლერი (2), უილიამსი (21), გრანტი (10), დეკლერკი (2); არმსტრონგი (13), გარიტი (9), ჰანტერი (5), ჯეკსონი (5), სასერი
**მაიამი:** სტრიკლენდი (4), ჯონსი (22), გილი (4), ალუნი (14), მურნინგი (16); სტეფანია (17 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 2 ჩაჭრა), კარტერი (10), ჯეიმსი (10), მარქსი (6), ფაუსი (5)

მრავალტანჯული „მაიამი ჰითი“ კარგა ხნის წინ ჩამოშორდა საპლეიოფო ჟრიამულობას და დიდი სირცხვილიც ჭამა. ლეგენდარული და წლეულს სახელშელანძღულმა პატ რაილის შეგირდებმა სეზონის ბოლო თამაშის მოგება მაინც მოახერხეს, ფლორიდულ დერბიში „ორლანდო“ დაიბრიყვეს და შვებულებაში ოდნავ უკეთესი ხასიათით წავლენ.

„ორლანდოს“ ძლევაში სტუმრებს თავად ორლანდოელები, უფრო კი მათი ტრავმები დაეხმარნენ. ჯადოთლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ მოედანზე უქმად შრომას უქმად ჯდომა არჩია და რალაც წამოიტკივა, ისევე, როგორც 39 წლის და თავის დროზე ყველაფრის ტრავმაგადატანილმა ბეხრეკმა ცენტრმა პატრიკ იუინგმა, ხოლო კიდევ ერთი მაღალი ორლანდოელი დონ რიდი შუაფლორიდელებს ნბა-ს დისკვალიფიკაციამ მოაკლო.

შეთხელებულ მასპინძლებში მაიამელმა ცენტრმა ალონზო მურნინგმა ისე იპარპაშა, როგორც მამალმა დედლებში და პირველ თორმეტწუთეულში ხელის ექვსი გაქნევით 12 ქულა შეიმატა. ცხვრების ფარასავით არეულ სტუმრებს სხვებმაც გაჰკრეს ხელ-კბილი და 48-წუთა დროის ამოწურვამდე კარგა ადრე მოუთავეს ხელი. 12 ქულას მოუყარა თავი ქართველმა ცენტრმა ვოვა სტეფანიამ, ვისაც ყველა თამაშში აგრე ყოჩაღად რომ ებურთავა, ვინძლო სასტარტო ხუთეულში დაეჯავშნა ადგილი. ყოველ შემთხვევაში, ის ორლანდოში უკეთ გაისარჯა, ვიდრე აწ ტრავმანატაკი ძირითადი თავდამსხმელი ბრაიან გრანტი სეზონის უმეტეს რკენაში. ისე კი, ვინ იცის, ეს მატჩი სტეფანიასთვის იქნებ ბოლოც გახლდათ „მაიამიში“. იგი სეზონის ბოლომდე ეკუთვნოდა პატ რაილის და ჯერ იქნებ თავადაც არ იცის, „მაიამის“ სათადარიგოდ დარჩება თუ რომელიმე უფრო უხეირო გუნდში ძირითად ცენტრად ან თავდამსხმელად მობურთავედ დაუძახებენ.

### დეტროიტი 123:89 მილუოკი

**დეტროიტი:** კ. რობინსონი (24), სტეკჰაუზი (23), ვოლესი (10 ქულა, 20 მოხსნა)
**მილუოკი:** რედი (21), გ. რობინსონი (20)

### ინდიანა 103:80 ფილადელფია

**ინდიანა:** მილერი (19), ონილი (18)
**ფილადელფია:** სნოუ (16), ჰარპრინგი (15)

### ტორონტო 103:85 კლივლენდი

**ტორონტო:** უილიამსი (22 ქულა, 12 მოხსნა), პეტერსონი (22), ა. დევისი (21 ქულა, 10 მოხსნა)
**კლივლენდი:** მიურეი (28), რ. დევისი (19)

### იუტა 84:86 სან ანტონიო

**იუტა:** სტოქტონი (23 ქულა, 10 პასი), მელოუნი (15)
**სან ანტონიო:** დანკანი (26 ქულა, 16 მოხსნა, 7 დაფარება, 6 პასი)

### ლეიკერსი 109:95 საკრამენტო

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (21), ონილი (21), ფიშერი (16)
**საკრამენტო:** ფანდერბურკი (15), ბიბი (15), კლიფზი (13)

### სიეტლი 109:94 მემფისი

**სიეტლი:** მეისონი (33), პეიტონი (30)
**მემფისი:** სვიფტი (31 ქულა, 10 მოხსნა), ბეტიე (14)

### გოლდენ სტეიტი 107:103 კლიპერსი

**გოლდენ სტეიტი:** ჯეიმისონი (35), რიჩარდსონი (23)
**კლიპერსი:** მეჯიტი (27), მაკინისი (22), ბრენდი (18 ქულა, 15 მოხსნა)

### ფინიქსი 89:76 დალასი

**ფინიქსი:** ცაკალიდისი (19), მარბერი (15 ქულა, 13 პასი)
**დალასი:** ვანგი (12)

### პორტლენდი 92:79 ჰიუსტონი

**პორტლენდი:** კერი (16)
**ჰიუსტონი:** ტომასი (19), ტორესი (16), ბრაუნი (16)

### ნიუ იორკი 94:99 ნიუ ჯერსი

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (32), ტომასი (20 ქულა, 15 მოხსნა)
**ნიუ ჯერსი:** მარტინი (13), ვან ჰორნი (13), არმსტრონგი (13), ჯონსონი (13)

### მინესოტა 104:90 დენვერი

**მინესოტა:** შჩერბიაკი (20), პილერი (17)
**დენვერი:** სატერფილდი (21), ჰამილტონი (16)

### ბოსტონი 89:81 ატლანტა

**ბოსტონი:** როჯერსი (25), პირსი (17)
**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (16), ვონი (15)

### შარლოტი 112:106 ჩიკაგო

**შარლოტი:** მაშბურნი (20), კემპბელი (20), დევისი (18)
**ჩიკაგო:** როუზი (27), ჰასელი (15), ჩანდლერი (13)

წლევანდელი რეგულარულის ბოლო დღემ ბევრი ახარა, ბევრსაც კარგა ხნით წაართვა კალათბურთზე ფიქრის ხალისი. ყველამ დამსახურებული მიიღო. უპირველესად „მილუოკის“ უსუსურობა ვახსენოთ. ცენტრალური დივიზიონის ძველი ყოჩი ახალს, „დეტროიტს“ ებმოდა და ძლევის შემთხვევაში რვა მოწინავე ალმოსავლელში (პლეი ოფი) მკვიდრდებოდა. „მილუოკი“ ცენტრალურ დივიზიონში ოდენ მეხუთეა, „დეტროიტი“ პირველი, თუმც ამის მიუხედავად, საზოგადოდ ტოლძალოვან ალმოსავლეთში ეს ბევრს არაფერს წყვეტდა. ამასთან ერთი, პრინციპული თამაშის მოგება მასზე უხეიროებსაც მოუხერხებიათ. ბეჩავმა „მილუოკიმ“ კი იმდენი მოახერხა, წააგო. არა, განადგურდა და ბავშვების „ინდიანას“ და უვინსკარტერო „ტორონტოს“ თავისი ხელით გაუხსნა პლეი ოფის კარი. „მილუოკის“ სუპერლიდერებმა — რეი ალენმა და სემ კასელმა თავი მოიჭრეს, მატჩში საშუალოდ 20-20 ქულის მკეთებლებმა ოდენ ჯამური თორმეტი ქულის გაჯახირებით თავისიანებს ულალატეს.

სხვა მხრივ თანაბარ და მშფოთვარე ალმოსავლეთში ბევრი რამ შეიცვალა შარშანდელს აქეთ. 1987 წლის შემდეგ პლეი ალლუმს პირველად დააკლდება „ნიუ იორკი“. ქვეყნის ფაქტობრივ ცენტრქალაქელებს ბოლო ლახვარი ჩასცეს, ჰოი, სირცხვილო, მათმა უგვანო მეზობლებმა, ნიუჯერსელებმა. ყოველთვის დასცინოდნენ გარეუბნელებს, მაგრამ ახლა „ნიუ ჯერსი“ ბოლო რვა წელიწადში პირველად გადის პლეი ოფში, თან მჩაგვრელი უფროსძმის სხეულის გადაბიჯებით, ამასთან ალმოსავლეთში სულაც პირველ ნომრადაა განთესილი.

დრო და მასთან ვითარება ცვალებადია. პლეი ოფის ძველი ბობოლები — „ნიუ იორკი“ და „მაიამი“ მშრალზე დარჩნენ, სამაგიეროდ, ალმოსავლეთის პირველ სამ ადგილს ისეთები იჭერენ, რომელთაც შარშან მოწინავეთა რვეულში ჩაწერა ენატრებოდათ.

დასავლეთს ნაკლებად დაატყო დრომ ხელი. ძველ დასავლურ ელიტას ოდენ „ფინიქსი“ გამოაკლდა. „სანზმაც“, „მაიამისა“ არ იყოს, მოახერხა გავარდნის წინ სიტყვის დაგდება და „დალასს“ მოუწამლა ხასიათი. ამ მარცხით „დალასი“ დასავლეთში მეორეობიდან მეოთხე საფეხურზე ჩამოვარდა და პლეი ოფის პირველ წრეში საშუალო „სიეტლის“ ნაცვლად დამშეულ მინესოტელ „მგლებს“ ჩაუვარდება ხახაში.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| ალმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | 52 | 30 | 63,4 |
| *დეტროიტი* | 50 | 32 | 61,0 |
| *ბოსტონი* | 49 | 33 | 59,8 |
| *შარლოტი* | 44 | 38 | 53,7 |
| *ორლანდო* | 44 | 38 | 53,7 |
| *ფილადელფია* | 43 | 39 | 52,4 |
| *ტორონტო* | 42 | 40 | 51,2 |
| *ინდიანა* | 42 | 40 | 51,1 |
| მილუოკი | 41 | 41 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 37 | 45 | 45,1 |
| მაიამი | 36 | 46 | 43,9 |
| ატლანტა | 33 | 49 | 40,2 |
| ნიუ იორკი | 30 | 52 | 36,6 |
| კლივლენდი | 29 | 53 | 35,4 |
| ჩიკაგო | 21 | 61 | 25,6 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| *საკრამენტო* | 61 | 21 | 74,4 |
| *სან ანტონიო* | 58 | 24 | 70,7 |
| *ლეიკერსი* | 58 | 24 | 70,7 |
| *დალასი* | 57 | 25 | 69,5 |
| *მინესოტა* | 50 | 32 | 61,0 |
| *პორტლენდი* | 49 | 33 | 59,8 |
| *სიეტლი* | 45 | 37 | 54,9 |
| *იუტა* | 44 | 38 | 53,7 |
| კლიპერსი | 39 | 43 | 47,6 |
| ფინიქსი | 36 | 46 | 43,9 |
| ჰიუსტონი | 28 | 54 | 34,1 |
| დენვერი | 27 | 55 | 32,9 |
| მემფისი | 23 | 59 | 28,0 |
| გოლდენ სტეიტი | 21 | 61 | 25,6 |

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები. პირველ ორ ადგილზე არიან დივიზიონების ლიდერები*

## პლეი ოფის პირველ წრეში ერთმანეთს შეხვდებიან

### ალმოსავლეთი

ნიუ ჯერსი 1 — ინდიანა 8
დეტროიტი 2 — ტორონტო 7
ბოსტონი 3 — ფილადელფია 6
შარლოტი 4 — ორლანდო 5

### დასავლეთი

საკრამენტო 1 — იუტა 8
სან ანტონიო 2 — სიეტლი 7
ლეიკერსი 3 — პორტლენდი 6
დალასი 4 — მინესოტა 5

# როსტოვში კორაჩის საქმე გაირკვა

**ლოკომოტივი 95:74 ნანსი**

17:12, 22:21, 26:17, 30:24

**ლოკომოტივი:** კუდელინი (15), ვედიჩევი (11), იაგოდნიკი (8), ფარმერი (5), კონოვალოვი, ჟუკაუსკასი (20), ციპაჩევი (4), ბენჩიჩი (7), რობინსონი (25)
**ნანსი:** დუბოში (9), სმიტი (6), მასინგა (24), გომიში (5), ზანვენი (9), ბოშკოვიჩი (11), სმილიანიში, ლანდი (10)

მაშ ასე, კორაჩის თასმა 31-ე გათამაშების თავზე არსებობა შეწყვიტა. მისი ბოლო მფლობელის ვინაობა როსტოვში გაირკვა. ალბათ, როგორ უკანკალებდა ხელები რუსული კალათბურთის პატრიარქს ალექსანდრ გომელსკის, როცა თამაშის მერე გამარჯვებულს თასი გადასცა, საქმე ისაა, რომ თასს ფრანგები დაეუფლნენ.

დონისპირეთში ჩასულ „ნანსს“ 26-ქულიანი უპირატესობა უმაგრებდა ზურგს. ერთი კვირის წინ ასეთი სხვაობით მოიგეს ფრანგებმა და თითქმის გაარკვიეს კიდეც თასის მფლობელი, მაგრამ კალათბურთშიც არაფერია გამორიცხული, მით უფრო, „ლოკომოტივი“ შინ თამაშობდა, თან მცოდნეთაგან წყვილის ფავორიტად მიიჩნეოდა და რუსებიც იმედიანად იყვნენ.

განსხვავებით ჩვენგან, რუსულ კლუბებს არასდროს შეევლოთ ხელი ევროთასისთვის და გასაგებია ის ეიფორია, რომელსაც „ჩრდილოელი ძმები“ შეეპყრო. დონი წყნარი იყო — დარბაზი ღელავდა, ყველას ორნიშნა რიცხვი უტრიალებდა თავში, რომლის იქითაც გამარჯვებას ხედავდნენ, მაგრამ...

ფრანგებმა აზრიანად ჩაატარეს მატჩი. მათ რუსებს სამქულიანი ტყორცნები არ დაანებეს და აიძულეს, შეტევის სარბიელად ფარქვეშეთი გამოეყენებინათ. ასეთ შემთხვევებში კი სტუმრები უმალ ჯარიმდებოდნენ ამ არემარის მკვიდრ, წოწოლა ეურელიუს ჟუკაუსკასზე, რომელსაც შაკილ ონილის „სენი“ სჭირს — საჯარიმოებში მოიკოჭლებს. ჰოდა, „ნანსმაც“ ამ ტაქტიკით ის 7 ქულა იშაბაშა, რომელიც ეურელიუსმა 17 ნასროლიდან გააფუჭა.

„ლოკომოტივის“ უპირატესობას პირველ ნახევარში 9 ქულისთვის არ გადაუბიჯებია. შესვენების მერე კი საერთოდაც ჩამორჩა — 41:42, თუმც მომდევნო 5 წუთში ფრანგებს ის ბოროდინო მოუწყვეს, პირველი მატჩის შემდეგ რომ იქადნებოდნენ. დამთავრებამდე 4 წუთით ადრე იგორ კუდელინის ნასროლმა სამქულიანმა მასპინძლები 22 ქულით გაალიდერა. დარბაზი ფსიქოზმა მოიცვა, დარჩენილ დროში 4 ქულის ამოქაჩვაღა იყო საჭირო, მაგრამ ფრანგებმა გაუძლეს და მოახლოებული გამარჯვებით გამოწვეული ემოციები წყნარად მოდუდუნე დონმა გაიყოლა.

**ირაკლი ბერტაია**



მაქს მასინგა ფრანგთაგან საუკეთესო იყო

## საპორტას თასი

**ნახევარფინალი. 16-17 აპრილი**

ანვილი (პოლ.) 53:58 პამესა (ესპ.) (65:77)
ჰაპოელი (ისრ.) 71:94 სიენა (იტ.) (69:98)

**ფინალი. 30 აპრილი**

პამესა — სიენა

# ჰენმანმა ჩელა დაამღერა



ტიმ ჰენმანი

**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,224 მილიონი $**

**მეორე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი** (1, აშშ) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 2:6, 6:2, 6:4; **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) — ელენა დოკიჩი (4, იუგოსლავია) 6:1, 6:3, **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:2; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — მეგან შონესი (8, აშშ) 6:1, 6:1; **ჟილ კრეიბასი** (აშშ) — ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) 6:4, 3:2 (ტრავმა); **სტეფანი ფორეცი** (საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:1, 6:2; **ალექსანდრა ფუზაი** (საფრანგეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:1, 6:1; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — დანიელა ჰანტუჩოვა (11, სლოვაკეთი) 6:3, 6:4; **ამანდა კუტცერი** (13, სამხრეთ აფრიკა) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 5:7, 6:4, 6:2; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (10, ესპანეთი) 7:6 (7:4), 7:6 (9:7)

**მესამე წრე**

**სერენა უილიამსი** (3, აშშ) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:3

ჯენიფერ კაპრიატიმ თამაში მეორე წრიდან დაიწყო. შარშანს მერე თიხნარს არ გაჰკარებია და მის მოძრაობებში ერთგვარი სიმძიმე იგრძნობოდა, რითაც სლოვაკმა ჟანეტ ჰუსაროვამ მთელი პირველი სეტის მანძილზე ისარგებლა. კაპრიატი დაუნანებლად გასცემდა ქულებს და მალე 0:5 ჩამორჩა, მერე კი სეტის წაგებაც დასჭირდა თვით შემოლაწუნებისთვის.

მერე კაპრიატი გონს მოვიდა და დიაცის პირობაზე კარგად განვითარებული კუნთები სრული ძალით აამოქმედა. ჰუსაროვამ წნეხს ვერ გაუძლო, ამიტომ 2:6, 6:2, 6:4 კაპრიატის სასარგებლოდ და მისივე კომენტარი: „ჰუსაროვა სუფთა თიხნარის მოთამაშეა, ამიტომ ბლომად ბურთებს უკან მიბრუნებდა და საქმე ერთობ გამირთულა, თუმცა ვგრძნობ, რომ თიხნარს თითქმის შევეგუე“.

უპირველესი სათიხნარო შეჯიბრი, „როლან გაროსი“ შარშან სწორედ კაპრიატიმ მოიგო. ის პირველ ნომრადაა განთესილი, ხოლო WTA-ს ტურნირებზე თესვის პროცედურა 16 ჩოგბურთელს ეხება. მოგახსენებთ, რომ ორი წრის შემდეგ ამათგან მწყობრში სულ 5 დარჩა: კაპრიატი, სერენა უილიამსი, მონიკა სელეში, სანდრინ ტესტიუ და ამანდა კუტცერი. გავარდნენ კი — ელენა დოკიჩი, ამელი მორესმო, მეგან შონესი და მისთანა გოგოები, რომლებსაც ჩოგბურთის სამყაროში მარტო ფართო თეძოებისთვის არ აფასებენ.

განვიხილოთ დოკიჩის ისტორია. იუგოსლაველმა კარიერის მე-4 ტიტული ორი კვირის წინ, სარასოტას ტურნირზე მოიგო და გუშინ ყოვლად აუმღვრევლად დანებდა ებრაელ ანა სმაშნოვას — 1:6, 3:6. მეორე სეტის დასაწყისში დოკიჩი 2:0-ს იგებდა, მაგრამ გარდატეხა თამაშში ყალბი გამოდგა. მატჩის შემდეგ დოკიჩმა „ის კარგად თამაშობდა, მე — ცუდად“ ტიპის კომენტარები გააკეთა, ამ დროს კი სიტყვებს ჯიბეში როდი ეძებდა სერენა უილიამსი, რომელმაც პირველმა უწია მეოთხედფინალს. მთლად კარგად ვერ ვითამაშეო, ხვალ დასვენების დღე მაქვს და ოო, რა კაიაო და მისთანები.

**მონტე კარლო. თიხნარი**
**საპრიზო 2,95 მილიონი $**

**მესამე წრე**

**ტომი ჰაასი** (5, გერმანია) — ენდი როდიკი (10, აშშ) 6:3, 6:2; **სებასტიენ გროჟანი** (7, საფრანგეთი) — ირჟი ნოვაკი (11, ჩეხეთი) 6:1, 7:6 (8:6); **ტიმ ჰენმანი** (4, დიდი ბრიტანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:2, 6:7 (4:7), 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:0, 2:0 (ტრავმა); **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:5, 6:3; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (13, ესპანეთი) 6:1, 7:5

ბებრის ყვავილობა უდგას თუ რა არის, კარლოს მოია უეცრად გიგანტების მუსვრის ხასიათზე მოვიდა. მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუტი ხომ ცალი ხელით გააგდო, იმას თიხნარის თვისტომი სპეცი ალექს კორეჩა მიაყოლა. მოიას მორიგი გამოცდა მეოთხედფინალში ელის, სადაც მარატ საფინთან ითამაშებს.

ამასობაში ლათინთა რისხვად იქცა ბრიტანელი ტიმ ჰენმანი, რომელსაც უფრო მაგარი საფარი მოსწონს, მაგრამ მონტე კარლოშიც წარმატებით იძვრის და სიტყვა „რატომღაც“ აქ უადგილოა: ჰენმანი მეოთხე ნომრადაა განთესილი. არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელას გაგდებამდე ჰენმანს შემოემარცხნენ განთქმული ლათინოსები: არგენტინელივე გილერმო კანასი და ჩილელი ნიკოლა მასუ.

ჩელასთან თამაში ჰენმანისთვის იოლი არ უნდა ყოფილიყო. არგენტინელი ტიპიური უკანახაზელია, რომლისთვისაც მოთმინებით თამაშის გაწელვა უზენაეს პრინციპს წარმოადგენს, მაგრამ ამჯერად თავისივე იარაღით დამარცხდა. ბრიტანელი ნაყოფიერად ითვისებდა მეტოქის ნახევრის კუთხეებს და ძნელად, მაგრამ გაიმარჯვა, ხოლო ახალგაზრდა ენდი როდიკი გერმანელ ტომი ჰაასთან დამარცხდა და თამაშის დროს და მერეც ენერგიულად „იხიპიშა“. როდიკის კრიტიკა მსაჯობას ეხებოდა.

„სად იყურები, ბიჭო, შენ! მეტრით იქით დავარდა“ — შეუტია როდიკმა შველ ხაზისკაცს, რომელმაც ჰაასს პირველი სეტპოინტი ჩაუთვალა. იყო ჩოგნის ქაოტური მოძრაობებიც, მაგრამ ცოდვას დავიდებთ იმის თქმით, რომ ის მატჩი როდიკს უნდა მოეგო. თვითონაც აღიარა, ტომი ჩემზე კარგად თამაშობდა, ეგ იყო, მსაჯებმა ამწეწეს ნერვებზეო.

**დავით გულუა**



კარლოს მოია



## NHL. სტენლის თასი. კონფერენციების მეოთხედფინალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტაველი კრის ფილიპსი ფილადელფიელ ჯასტინ უილიამსს გვარიანად ეუხეშა

# ჰაშეკს კუკი გაეპარა

## დასავლეთი

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 0 |
| ვანკუვერი | 1 |

**დეტროიტი 3:4 ვანკუვერი 1:0 1:2 1:1 0:1**

1:0 რობიტაილი (18), 1:1 უორინერი (21), 2:1 ფიოდოროვი (29), 2:2 კესელსი (34), 3:2 ლარიონოვი (42), 3:3 ლინდენი (51), 3:4 ჰ. სედინი (74)

ბრეტ ჰალი თურმე, ზოგ რამეში მოძღვარ სკოტ ბოუმენზე ბრძენი ყოფილა. აკი ბუზღუნებდა „ოქროს ბრეტი“ რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ადგილის მოპოვების შემდეგ გუნდი ძველებურად ყოჩაღი ველარ არის, სახიფათოდ მოეშვაო. 69 წლის ბოუმენი კი საპირისპიროს ამტკიცებდა, ყველაფერი რიგზეა, პლეი ოფში ძველ გუნდს ვიხილავთო. როგორც ჩანს, ზოგჯერ შეგირდებსაც უნდა უგდო ყური. დეტროიტელთ სიმშვიდე დაეუფლათ, მოეშვნენ და პირველ მატჩში ცხვირი წაიტეხეს. მეკარე დომინიკ ჰაშეკი ხომ სულ გაზარმაცებულა. სამჯერ გავიდა დეტროიტი წინ და სამჯერვე სტუმრები დაეწივნენ. ოთხიდან მინიმუმ ორი გოლი „დომინატორის“ სინდისზეა. მას ერთხელ შეტ კუკის პასი გამეპარა და ტოდ უორინერის დარტყმისას მარცხენა კუთხისკენ გადაადგილება ვერ მოასწრო. მეორე შემთხვევაში კი კესელის გოლისას შერცხვა.

არა, ყველაფერი მთლად ჰაშეკის ბრალი როდია. ვანკუვერმა სახელოვან მეტოქეს სწორედ რომ მონდომებაში აჯობა. თანაც გაირკვა, რომ გუნდს მარკუს ნესლუნდისა და ტოდ ბერტუცის გარდა სხვა გამტანებიც ჰყოლია. ამ წყვილს დეტროიტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ამ დროს კი სხვებმა ივარგეს. დიახ, იმსახურებდა ვანკუვერი მოგებას და ეს ჰენრიკ სედინის საოვერტაიმო, ეფექტურმა გოლმაც ცხადყო. ჭაბუკმა შვედმა ხანგრძლივი პაუზა გააკეთა და მხოლოდ მაშინ გაშალა ხელი, როცა ჰაშეკს ერთბაშად ორი პარტნიორი ჩამოეფარა. ასეთ საჭირო დროს შეწყვიტა ვანკუვერმა 10-მატჩიანი უხეირო სერია დეტროიტში.

მატჩის შემდეგ ყველაზე მშვიდი ბრეტ ჰალი იყო: „ვიცოდი, რომ ეს გრძელი სერია იქნებოდა. ერთი მარცხი არაფერს ნიშნავს“ — თქვა მან.

| | |
|---|---|
| სან ხოსე | 1 |
| ფინიქსი | 0 |

**სან ხოსე 2:1 ფინიქსი 1:0 1:1 0:0**

1:0 დამფუსი (7), 1:1 ბრიერი (23), 2:1 მარლო (26)

ფინიქსის მეკარე შონ ბურკი მთელი სეზონის განმავლობაში შველოდა თავისიანებს, მისმა ერთადერთმა შეცდომამ კი ცუდი შედეგი გამოიღო სერიის პირველ მატჩში. როცა სანხოსელმა ბრაიან გარჩმენტმა შაიბა მეტოქის ზონაში გაგზავნა, ბურკი მის დასაუფლებლად კარს უკან ისე უნიათოდ გასრიალდა, რომ ტეემუ სელიანემ დაასწრო, ზუსტად გადააწოდა პატრიკ მარლოს და მასაც არ გასჭირვებია კარის დალაშქვრა.

„სელიანე არ შემიმჩნევია და ამიტომაც შევყოვნდი“ — თავი იმართლა ბურკმა. ისე ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ ამ ერთმა შეცდომამ მთელი შრომა წყალში ჩაუყარა.

რაკი, მოლოდინისამებრ, დაძაბული თამაში გაჩაღდა და ორივე გუნდი მარჯვედ იცავდა საკუთარ კარს, მომენტებიც ცოტა შეიქმნა. გადარჩენის საუკეთესო შანსი სტუმრებს მესამე პერიოდში მიეცათ, როცა 4 წუთის განმავლობაში რიცხვმრავლობაში იყვნენ, მაგრამ ერთი რიგიანი მომენტითაც კი ვერ დაემუქრნენ მეტოქეს.

## აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 1 |
| ოტავა | 0 |

**ფილადელფია 1:0 ოტავა 0:0 0:0 0:0 1:0**

1:0 ფედოტენკო (68)

ფილადელფიას არასოდეს დაუწყია პლეი ოფი უგოლო მატჩით. ამჯერად იქნებ დაერღვია კიდეც ეს საამო ტრადიცია. სანხოსეური მატჩის მსგავსად, უაღრესად ფხიზლად და საიმედოდ ისრიალეს მეტოქეებმა, მაგრამ სტუმრები ოდნავ უკეთ გამოიყურებოდნენ. მათ საკუთარი ტაქტიკა მოახვიეს თავს „მფრინავებს“ და თავიანთ ზონას საიმედოდ იცავდნენ, თუმც რეალური საგოლე მომენტები კი ვერ შექმნეს. ოვერტაიმში ბედმა მასპინძლებს გაუღიმა. მარტი მიურეის ვარდნაში გაკეთებული პასის შემდეგ რუსლან ფედოტენკომ ჩინებულად დაარტყა და პატრიკ ლალიმი გაალაგნა. ოტავა სწორედ ისეთმა მოთამაშემ დაღუპა, რომლისგანაც სტუმრები ამას ნაკლებად ელოდნენ, რადგან უკრაინელ ლეგიონერს საპლეიოფო გამოცდილება არ ჰყოფნის. ეს მისი პირველი სათასო გოლი გახლდათ.

„დღეს თითქოს ორი თამაში ჩავატარეთ. პირველ ორ პერიოდში ერთი, ხოლო დანარჩენ დროს — მეორე. ნაკლებად ვიმსახურებდით მოგებას. იმედია, მომდევნო მატჩებში უფრო რიგიანად ვითამაშებთ“ — ფილადელფიელთა კაპიტანი კეიტ პრიმო, მოგების მიუხედავად, თვითკრიტიკულად განწყობილიყო.

| | |
|---|---|
| კაროლინა | 1 |
| ნიუ ჯერსი | 0 |

**კაროლინა 2:1 ნიუ ჯერსი 2:0 0:0 0:1**

1:0 ბრინდამორი (9), 2:0 კოული (10), 2:1 ელიაში (48)

„ქარიშხლებმა“ პლეი ოფის სასტარტო თამაში ბოლოს 1991 წელს მოიგეს. მაშინ კაროლინა ჰარტფორდში სახლობდა, „უეილერსი“ ერქვა და მაშინაც პირველ თამაშში ბოსტონს გაუმკლავდა.

გულახდილად უნდა ითქვას, ეს დეტროიტის მარცხზე არანაკლები სიურპრიზი გახლდათ. იმ საღამოს კაროლინას ყველაფერში გაუმართლა. ნიუ ჯერსის უსიამოვნებები ჯერ კიდევ მატჩის წინ დაიწყო, როცა გაირკვა, რომ ტრავმირებულ პეტრ სიკორას ჯო ნუინდაიკიც დაემატებოდა, ორივე კი ჯერსელებს დააკლდებოდა. „ეშმაკთა“ ლიდერი რომელიღაც ვირუსმა აიძულა, ასეთი საპასუხისმგებლო შეხვედრა გამოეტოვებინა.

ნიუ ჯერსიმ პირველმა შექმნა აშკარა საგოლე მომენტი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კრისტიან ბერგლუნდმა ვერ ივარგა. სამაგიეროდ, კაროლინას ორი მომენტი ჰქონდა და ორივე ბრწყინვალედ გამოიყენა. ჯერ გამოცდილმა როდ ბრინდამორმა ივარგა დამატებაზე, შემდეგ კი ახალბედა ერიკ კოულმა გაისროლა მოულოდნელად და მარტინ ბროდო დაამწუხრა. ეს ყველაფერი 82 წამის განმავლობაში მოხდა. დანარჩენ დროს კი სტუმრები ბატონობდნენ ყინულზე, მაგრამ საიმედოდ მოთამაშე არტურ ირბეს კარის დალაშქვრა მხოლოდ ერთხელ შეძლეს. „ქედს ვუხრი ჩემს პარტნიორებს. მათ შესანიშნავად ითამაშეს და 33 დარტყმას გაუძლეს“ — თქვა ნამატჩევს ირბემ.

**სამველ ღარიბიანი**

# გლდანელი და ესებუა: გაპაექრება კალმით და მკლავით

**ცდება** ის, ვინც ფიქრობს, გაზეთი პეპელასავითაა — დილით დაბადებული, წაკითხვის მერე საღამოს კვდებაო. ძველი გაზეთებისადმი ინტერესი წაკითხვის მერე, ახალი ნომრის გამოსვლისთანავე კი ნელდება, მაგრამ არ კვდება. მართალია, ყოველდღიური გაზეთი ყოველდღიური ისტორიაა, თუმცა წლობით აკინძული მისი ნომრები უკვე მთელი ეპოქის მატიანედ წარმოგვიდგება. ამიტომ ძველი გაზეთი გაცოცხლებულ წარსულად და ჯადოსნურ სარკედ გვესახება. ამ ჯადოსნურ სარკეში ჩახედულნი იმასაც ვგებულობთ, თუ რაოდენ პოპულარული ყოფილა ჭიდაობა 1800-იან წლების საქართველოში, აღიარებულ ფალავნებს კი ხოტბას ასხამდნენ პოეტები. ჭიდაობაზე ბევრს წერდნენ ძველი ქართული გაზეთები და ქართველი მწერლები, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი... იმდროინდელი გაზეთები ხშირად აქვეყნებდნენ ფალავანთა განცხადებებს, რომლის საშუალებითაც მეტოქეებს საასპარეზოდ იწვევდნენ და თავიანთ პირობებსაც უყენებდნენ. ამგვარად, ქართველი მწერლები და იმდროინდელი პრესა ხშირად მოჭიდავეთა პაექრობების ორგანიზატორებად წარმოგვიდგებიან. ამგვარი პაექრობები უდიდეს ინტერესს იწვევდა, მათ შორის გამოირჩეოდა კულა გლდანელის მონაწილეობით გამართული ჭიდაობები. როგორც ამას წინათ გავიხსენეთ, „დროება“ 1883 წლის 102-ე ნომერში წერდა: „არც სარა ბერნარზე და არც ადელინა პატიზე ასეთი თავის მტვრევა არ გვინახავს, როგორც გლდანელის ჭიდაობაზე... პოლიციიდან ასი კაცი იყო მოწვეული, ცხენოსანი ყაზახებიც. მაინც ვერ იმაგრებდნენ“.

გლდანელის ყველაზე ძლიერი მეტოქე ნესტორ ესებუა იყო, მაგრამ უდიდეს ინტერესს იწვევდა არა მხოლოდ მათ შორის საჭიდაო წრეში ჭიდილი, არამედ გაზეთების ფურცლებიდან ერთმანეთის გამოსაწვევად გამოქვეყნებული განცხადებებიც. ეს განცხადებებიც თავისებური ჭიდილი იყო; რომლებშიც ავტორები ლოგიკური აზროვნების უნარსაც ავლენდნენ.

მანამ ამგვარ განცხადებებს გავიხსენებდეთ, რამდენიმე სიტყვით თავად მათ ავტორებზე შევჩერდებით.

კულა გლდანელი 1860 წელს დაიბადა გლდანში. მისი ნამდვილი გვარსახელი ვანო ყირიმელი იყო. მამამისი — ბერო ყირიმელი ერთი გაჭირვებული გლეხი იყო და თავი ძლივს გაჰქონდა. პატარა ვანო თანატოლებთან ეუფლებოდა ქართული ჭიდაობის ილეთებს. ამ საქმეში იგი უფრო დაახელოვნა ბიძამისმა, ათოლა ყირიმელმა, ვინც სახელოვანი ფალავანი გახლდათ. მალე მან ძმისწული ისე დააოსტატა, რომ კულა გლდანელის სახელი ყველას პირზე ეკერა. 1882 წლიდან მან ერთიმეორის მიყოლებით სძლია საქართველოს სახელგანთქმულ მოჭიდავეებს. იმდროინდელი საგაზეთო მასალებიდან ირკვევა, რომ კულა გლდანელი არა მხოლოდ დიდებული მოჭიდავე, არამედ, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწეც დამდგარა. მან ხელი გაუმართა ვაჟა ფშაველასაც, როცა იგი სასწავლებლად უცხოეთს მიეშურებოდა, მაგრამ კულა



კულა გლდანელი



ნესტორ ესებუა

გლდანელი ქართული სპორტის ისტორიას, უწინარეს ყოვლისა, ხალხის საყვარელ მოჭიდავედ შემორჩა, რომელზეც პოეტები და სახალხო მთქმელნი ლექსებს თხზავდნენ.

მაგრამ ამქვეყნად მუდმივი არაფერია და სარბიელზე გამოჩნდა 21 წლის ნესტორ ესებუა, რომელიც 1863 წელს დაიბადა სენაკის მაზრის სოფელ ქვალონში. მან ბრწყინვალედ გააგრძელა ქართველ მოჭიდავეთა ტრადიციები და სწორუპოვარი ფალავნის სახელიც დაიგდო. მას უჭიდავია საქართველოშიც, რუსეთის ქალაქებშიც და პარიზშიც, სადაც მაყურებელთა ტაში არ აკლდა. პეტერბურგში, მაგალითად, ერთმანეთზე უკეთეს, მსოფლიოში სახელგანთქმულ მოჭიდავეებს სძლია და პრიზად 3 000 მანეთიც მიიღო; პარიზში საერთაშორისო გამოფენაზე თავმოყრილი 300-მდე ფალავნიდან ესებუასთან დაჭიდება მხოლოდ ათმა გაბედა და ქართველმა მოჭიდავემ ათივეს სძლია, რისთვისაც 10 000 ფრანკით დაჯილდოვდა.

მაგრამ ეს მერე იყო, მაშინ კი, ბათუმში, 21 წლის ესებუამ კულა გლდანელთან შერკინებისას მიიღო საჭიდაო ნათლობა. ამ ჭიდილში გამარჯვებულად ესებუა მიიჩნევდა საკუთარ თავს, გლდანელი კი ფიქრობდა, რომ მან იმარჯვა. მაყურებელთა აზრიც გაიყო. ეს ორი მოჭიდავე 1886 წელს თბილისშიც შეებნენ ერთმანეთს. ამ ბრძოლის შესახებ აკაკი წერეთელმა დაწერა პოემა „გლდანელი და ესებუა“.

ერთ-ერთი ავტორი „ძველი მოჭიდავის“ ხელმოწერით ამ შეხვედრას გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ასე აღწერდა: „მართლაც გამოჩნდა იმერეთიდან ახალგაზრდა მეგრელი ესებუა. ამ ოთხი წლის წინათ პირველად ბათუმში დასჭიდეს გლდანელს ახალგაზრდა, მარდი და ღონიერი მეგრელი, რომელსაც ჭიდაობისა სრულიად არა გაეგებოდა რა. ასე რომ, უმეტესობამ ძლევამოსილად ესებუა ჩასთვალა: ეს იუცხოვა რასაკვირველია, გლდანელმა და მეორედ დაჭიდება მოუნდომა. ესებუაც ჩამოვიდა ქალაქში და შეიბნენ: ორჯელ გადაიტანა კისრულზე გლდანელმა ესებუა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა. ესებუამ კი გააკრა გლდანელი მიწაზე ჯვარის ლავაშივით, მაგრამ წამოეშველნენ გლდანელს ქომაგები და გააფუჩეჩეს და დაიწყეს ყვირილი, რომ არ გაულახიაო“.

კულა გლდანელი და მისი მომხრენი კვლავ გამარჯვებულად მიიჩნევდნენ თავს. გლდანელისა და ესებუას დავამ საჭიდაო სარბიელიდან გაზეთ „ივერიას“ ფურცლებზე გადაინაცვლა.

*„ბატონო რედაქტორო! — წერდა კულა გლდანელი გაზეთის ფურცლებზე — უმორჩილესად გთხოვთ სიმართლისა და სისწორ-სიმრუდის გამოსარკვევად ადგილი უბოძოთ თქვენს გაზეთში ამ ჩვენს წერილს.*

*კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველ კაცს, რაც უნდა ბევრი ხელობა იცოდეს, ერთი ამ ხელობათაგანი უყვარს. უფრო გულის მახლობლად მიაჩნია. ამისი საყვარელი ხელობის დამცირება და შეურაცხყოფა მისთვის სიკვდილია. წინათ ეს ჩემი საყვარელი საგანიც ფალავნობა ხელობა იყო. მართალია მაშინ, მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა გზაზე მიდიოდა და დღეს-კი უფრო დაწვრილმანდა, ანგარიშის გზას დაადგა, მაგრამ რა გაეწყობა, აბა, ერთი მიბრძანეთ, სხვა რომელი საგანია ამ ჩვენ საუკუნეში, რომ არ დაწვრილმანებულიყო და ანგარიშის გზას არ დადგომოდა. დროებამ ყველაფერს თავისი იერი დასდვა... ამის განსჯა და გაზომვა ჩემი საქმე არ არის... მხოლოდ აი, რა უნდა მოგახსენოთ: შარშან მე და მეგრელი ესებუა ერთმანეთს დავეჭიდეთ. ჩემი ფიქრით მე ვძლიე იგი, მაგრამ ზოგიერთებმა ხმები გაავრცელეს, ვითომ მე გავლახულიყავ. უსაფუძვლო იქნება, რომ კაცმა დაიჯეროს იმისთანა კაცების სიტყვა, რომელთაც ფალავნობისა არა ესმით რა. ჩვენდა სამწუხაროდ, იმ ჭიდაობაში არ დასწრებია არც ერთი ხეირიანი და გამოჩენილი ფალავანი, რომლის მსჯელობა და გადაწყვეტილება დასაჯერებელი ყოფილიყოს. ასე რომ, ჭიდილი გაუთავებელი, გადაუწყვეტელი დარჩა.*

*თქვენი გაზეთის საშუალებით მე ვიწვევ ესებუას და ვფიქრობ, რომ ზნეობრივად ვალდებულია ამ გამოწვევაზე; მით უმეტეს, რომ ჭიდილი დანიშნულია სამაღლო საქმისათვის და არა კერძო ანგარიშებისათვის“.*

გლდანელის ამ გამოწვევას იმავე გაზეთის ფურცლებზე მოჰყვა ესებუას პასუხი:

*„ივერიაში“ დაიბეჭდა გლდანელის წერილი. ამ წერილით გლდანელი მიწვევს საჭიდაოდ და საზოგადო ფალავნობაზედაც საუბრობს. დიაღაც საბუთი გვაქვს ვილაპარაკოთ ფალავნობაზე. საქართველოში ყოველთვის ყოფილან გამოჩენილი ფალავნები. სხვები რომ არ ვახსენოთ, საკმაო იქნება მოვიგონოთ ხიზამბარელი და კოპიტაშვილი, რომელნიც უსასყიდლოდ აქეზრინებდნენ სეირს ლარიბ მდაბიო ხალხს და მხოლოდ მდიდრის საჩუქარს სჯერდებოდნენ. ამ ფალავნებს ის ზნეგები ზნეცა ჰქონდათ, რომ თუ არა განთქმულ მოჭიდა[illegible] დაეჭიდებოდნენ. [illegible] როცა ყველაფერი [illegible] სხვათაშორის [illegible] წყობა.*

*ხოლო, რაც მე შემეხება, კერძოდ ამას მოვახსენებ გლდანელს, რომ უწინ ჩვენს დღეში არ მეჭიდავნა და პირველად მავას შევეჭიდე ბათუმში. დამსწრე ბევრი იყო. გლდანელი პირდაღმა დაეცა მიწაზე და გავშორდით ერთმანეთს. მეორედ კიდევ თბილისში დავეჭიდე. მაშინ მე გამოვიწვიე. მეორედაც გლდანელი ზურგზე მყავდა გაჭიმული, მაგრამ ეგ კი ორსავე ძლევას არაფრად აგდებდა და ამბობდა, საეჭვო იყოვო. შეიძლება ამას ფიქრობდეს და ორჯერვე შემთხვევით დავმარცხდიო. შესაძლებელია: ჭიდაობაში მარცხი და ფათერაკი ერთი წამის საქმეა და ხშირად ორჯერაც მოუვა კაცსა, მაგრამ ამ შემთხვევაში მე გლდანელის მაგალითს არ მივბაძავ. იმას ჩვეულებათა აქვს, თუ ერთხელ როგორმე დასძლია გამოჩენილი ფალავანი ალთიაალულისა არ იყოს, გინდა საეჭვო ძლევაც იყოს, მერე აღარ ეჭიდავება. ამგვარად მოექცა გლდანელი ევნატაშვილს და ჭობისხეველს. მაშ მეც სრული უფლება მაქვს ვუპასუხო გლდანელს, რომ ჯერ იმათ დაეჭიდოს ხელმეორედ და თუ კიდევ მოერია იმათ, მაშინ მეც გამოვალ საპირისპიროდ. მანამდე კი თბილისში, სადაც უმფროს-უმცროსიანად ყველა მისი მომხრე და ქომაგია, მე მას მესამედ აღარ დავეჭიდები. ქუთაისში კი ყოველთვის მზად ვარ იქ მობრძანდეს, როცა უნდოდეს“.*

ასე იყო თუ ისე, გლდანელსა და ესებუას შორის ბოლო, მესამე შეხვედრა 1888 წელს მაინც გაიმართა თბილისში „იტალიის ბაღში“, რასაც გაზეთი „თეატრი“ ასე აღწერდა: „წარსული კვირის ჭიდაობა დიდ ინტერესს წარმოადგენდა ფიზიკური ღონის მოყვარულთათვის. სახელგანთქმული კულა გლდანელი უნდა დასჭიდებოდა ახალგაზრდა, არა გლდანელზე ნაკლებად იმერეთში სახელგანთქმულს მეგრელ ნესტორ ესებუას... საღამოს 5 საათი იყო, როცა გამოვიდნენ მოწინააღმდეგე მოჭიდავენი, ორივე მშვენიერი, ტანადი, მხნე და მამაცი, მაყურებელს სიამოვნებით ევსებოდა გული. გლდანელმა სამჯერ ზურგული უყო ესებუას და თითქმის წაქცეული ყვანდა, მაგრამ ცქვიტი და მარჯვე მეგრელი მაშინვე ფეხზე წამოდგა და ხელახლა შეეჯახნენ. მეორედ მოგვერდი უყო გლდანელმა, მაგრამ ესებუა ისევ ფეხზე იდგა, მესამედაც წააქცია გლდანელმა, მაგრამ აქაც კატასავით წამოხტა ესებუა, ჰკრა ხელი გლდანელს, ერთ წუთს პირაღმა გადააქცია. გლდანელსაც უნდოდა ესებუასავით ზეზე წამოდგომა, მაგრამ გაუძნელდა. ესებუამ მძიმედ დასცა. მივიდა ხალხი და გააშველეს. ატყდა ყაყანი, მომეტებულნი ამბობდნენ, რომ ესებუამ გაიმარჯვაო, ზოგნი კი ამბობდნენ, გლდანელმა აჯობაო“.

**ავთანდილ ბუყიშელი**

---

კრივი

# ნაცემთა ცემა

**ამა** წლის პირველ ივნისს საქართველოს სუფრებზე მთავარი სადღეგრძელო შემდეგი უნდა იყოს: „ამ ყანწით (ლამპის შუშით, კალოშით, იქნებ ჭიქითაც) ყველა პატარას გაუმარჯოს!“ 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო და დიდი კრივის დღე გახლავთ. ატლანტიკ სიტიში იმ დღეს ევანდერ ჰოლიფილდი და ჰასიმ რაჰმანი იჩხუბებენ, ცხადია, უბერებელი დონ კინგის პატრონაჟით.

ორივე მოკრივის სადღეისო სტატუსი „დამარცხებულია“. რაჰმანმა სამხრეთ აფრიკაში ერთი გასაკვირად მოსდო ლუისს და რინგზე გაშოტა, თუმც ამ ამბავს შემთხვევითობის ან ხელოვნურობის სუნი იმთავითვე უდიოდა და ნახევარი წლის შემდეგ, ლას ვეგასში რაჰმანი ლუისის მუშტით შეიმუსრა, რაც ნიშნავდა საბჭოს (ვბც) და ფედერაციის (იბფ) ქამრების დაკარგვას და ახლა კარიერაში 35 ბრძოლის მომგები (29 ნოკაუტი) და სულ 2-ის წამგები რაჰმანი იმიჯის ხელახლა შექმნას უნდა ეცადოს.

ვის წინაალმდეგ? ვისი და კაცისა, ვინც თავის დროზე მაიკ ტაისონი დათეთქვა არა ნოკაუტით, მაგრამ ცემა მხოლოდ ნოკაუტი როდია. მძიმე წონის 4-გზის ჩემპიონი ჰოლიფილდი დღეს სრულიად უტიტულოა, დეკემბერში ჯონი რუისმა ასოციაციის (ვბა) ქამარი წაართვა და მშრალზე დატოვა.

ორი დიდი დამარცხებულის ჩხუბი ყოველმხრივ საინტერესო ჩანს და გაქექილ დონ კინგს მართებულად განუსჯია: ჰოლიფილდ — რაჰმანი იქნება იმის მერე რამდენიმე დღეში გასამართი ბრძოლის პრელუდია. მოგეხსენებათ, ლუისი და ტაისონი სწორედ ივნისში იჩხუბებენ.

**დავით გულუა**



დონ კინგმა უძლიერეს მოკრივეთა მუშტები ალბათ მეათასედ წარმოადგინა

კალათბურთი

**ევროლიგა**
მეორე ჯგუფური ეტაპი
VI ტური. 18 აპრილი

**E ჯგუფი**
ბარსელონა 90:76 სკავოლინი
სკიპერი 73:86 ბენეტონი

**G ჯგუფი**
ოლიმპია 72:79 პანათინაიკოსი
აეკ 65:75 ოლიმპიაკოსი

**H ჯგუფი**
ულქერი 96:91 ცსკა
ტაუ 65:94 მაკაბი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# სვენბედნიერი

„დოიჩე ტელეკომმა“ ერთი ბარტყი ლონდონშიც გამოჩეკა. კავშირგაბმულობის გერმანულმა კომპანიამ თავისი სისტემების ზორბა პრეზენტაცია ალბიონის მთავარ ქალაქში მოაწყო და დია საფეხბურთო [illegible] დაპატიჟა, მაგალითად: სვენ გორან ერიკსონი ბურთით, აგრეთვე მერაია ქერი... აქ შეეკითხეთ: — ცხვირი გაქვს? გაქვს! თვალები გაქვს? გაქვს! ტუჩები გაქვს? გაქვს და მაგი მაინც არაა მერაია, არამედ „ატომიკ კიტენის“ მომღერალს [illegible] ლიზი გახლავთ. ერიკსონს ორი ლოყა აქვს, რომელიც ლიზის სხვა „კიტენებმა“ შეაწერეს.



REUTERS



# ასე ჯანსაღი

ფითნეს კლუბები, ქალთა სავარჯიშო ადგილები, გინდა ზოგადად სავარჯიშო მოწყობილობებით სავსე დარბაზები დიდად მოდური ალაგებია მსოფლიოში. ეს ფითნესობა ჯანსაღ ცხოვრების წესს აღნიშნავს. მომღერალი პინკი იმგვარი მოვარჯიშე ყოფილა, რომ პრესკონფერენციაც კი ლოს ანჯელესის „ბოლი ტოტალის“ ფითნეს კლუბში გაუმართავს.



REUTERS

# ვინსი კოსტუმში

„ტორონტო რეპტორზის“ მცველი და ენბიეის ვარსკვლავი ვინს კარტერი დამაგვებულა და მოედანზე ვერაფერს შველის თავის გუნდს. თუმცა, ბურთს მაინც არ უშვებს ხელიდან და შემახილებით ამხნევებს ბიჭებს.

# ვერ დაესწრო

განთქმული რეჟიმორი სპაიკ ლი და არანაკლებ გათქმული მსახიობი ფრედ უილიამსი ფილმ „ჯეიმს ბრაუნი: თავისუფლებამდე ამერიკელის“ პრემიერაზე არიან. ფილმი დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობითაა გადაღებული, „ეიჩბოუს“ ტელევიზიის ფულით. თავად ფილმის გმირი, ამერიკელი ფეხბურთის ძველი ვარსკვლავი, ჯეიმს ბრაუნი პრემიერას ვერ დესწრო, რადგან ციხეში ზის და ექვსთვიან სასჯელს იხდის ოჯახური ძალადობისთვის.





REUTERS

# მამის დასახმარებლად

„ჩიკაგო ვაით საქზი“ „კლივლენდ ინდიანზს“ მასპინძლობდა და ერთი კლივლენდელის, ომარ ვისქელის ექვსი წლის ვაჟს, ნიკოლასს გულმა არ მოუთმინა — სათანადოდ გამოწყობილი ისედაც იყო და მამის დასახმარებლად შევარდა მოედანზე. სამწუხაროდ, „კლივლენდმა“ მაინც წაგო, 2:7.



REUTERS

# მესამედ

ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში ხეიბარ ჩოგბურთელთა დიდი ტურნირი მიმდინარეობს. ფოტოზე აღბეჭდილმა ჩილელმა ოსტატმა კრისტიან დესგრუმ ბრაზილიელი ჟელმარ პირესი დაამარცხა, 6:1, 6:3. ამგვარი შეჯიბრი უკვე მესამედ ტარდება და მასში ამერიკელი და ევროპელი ხეიბარი ჩოგბურთელები მონაწილეობენ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge